პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# კომუნისტი

წელიწადი მეორე

ს. კ. პ. ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და საბჭოების ორგანო

21 თებერვალი სამშაბათი

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტეინის ქ. № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერთო №

№ 41 სამშაბათი, 21 თებერვალი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი სამშაბათი, 21 თებერვალი 1922 წ. № 41

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამიერ-კავკასიის „გაერთიანება"

„ერთიანი და განუყოფელი რუსეთის „მთლიანობა", ან როგორც იყო [illegible] პოლიტიკური იდეალი. [illegible] ანზანს ისინი თითქო უყურადღებოთ სტოვებდნენ.

ნამდვილათ კი მათი პოლიტიკაც სწორეთ ამ საფუძველს ემყარებოდა მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათ სურდათ სახელმწიფოებრივი ძალაუფლებით და ულტრა-ცენტრალისტური პოლიტიკით ისეთი ცენტრალური ეკონომიური ბაზა შეექმნათ, რომლის მეოხებით მათ მორჩილებაში ჰყოლოდათ, როგორც რუსეთის ყველა ჩაგრული კლასები, ისე ჩაგრული პატარა ერები.

დეცენტრალიზმი მათთვის არ იყო ხელსაყრელი და ამიტომ ისინი ეკონომიურ სფეროში ცენტრალისტურ გაერთიანებას ცდილობდენ, ხოლო ეროვნულში „რუსიფიკატორულ" პოლიტიკას აწარმოებდენ.

დღეს, როცა რუსეთის იმპერია საბჭოთა რესპუბლიკათ არის გადაქცეული, როცა სახელმწიფო ძალაუფლება მუშათა კლასის დიქტატურის გამტარებელ პარტიას, კომუნისტურ პარტიას ხელთ უპყრია, ცხადია პერიფერიების ცენტრთან კავშირი და პატარა ერების დიდ ერთან, რუსებ-[illegible] **დემოკრატიულ ცენტრალიზმი და ეროვნული დამოუკიდებლობა.** [illegible] ლები და როცა კითხვა ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებას ეხება, ცხადია ეს „გაერთიანება" არ ნიშნავს ძველებურ ცენტრალისტურ გაერთიანებას, თავისებურობის, დამოუკიდებლობის ერთიანათ უარყოფას და ძალდატანების პოლიტიკის წარმოებას, არამედ ეს არის ადგილობრივათ სრული პროლეტარული დემოკრატიზმის გატარება და ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვა.

ამიერ-კავკასიის გაერთიანება—ფედერაცია ეს მხოლოთ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ ეროვნულ საბჭოთა ეკონომიურ-პოლიტიკური კავშირია და სხვა არაფერი.

ეს კავშირი ბევრ ჩვენ მოყვარესაც აფრთხობს. მაგრამ ეს იმიტომ, რომ მათ ზემოხსენებული პრინციპები და ამ პრინციპების გატარების პირობები ნათლათ არა აქვთ შეგნებულ-გათვალისწინებული.

ჩვენი ვალია მათ თვალები აუხილოთ და ეს მოყვრები, თუ მართლა მოყვრები არიან, ჩვენს რიგებში ჩავაყენოთ.

 რ. კალაძე.

## ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაც. I-ლი ყრილობა

### ყრილობის გახსნა

18 თებერვალს საღამოს სახელმწიფო საოპერო თეატრში ზეიმით გაიხსნა ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციების პირველი ყრილობა.

### ამხ. ორჯონიკიძის სიტყვა

ამხანაგებო, აზარბეიჯანის, სომხეთის, საქართველოს, აბხაზეთის, აჭარის, ნახჩივანის, სამხრეთ ოსეთის და კავკასიის ცალკე ლაშქრის კომუნისტურ ორგანიზაციების პირველ ყრილობას ვაცხადებ გახსნილად.

ხანგრძლივი და მქუხარე ტაში. ორკესტრი ასრულებს ინტერნაციონალს

ამხანაგებო, ხანგრძლივი შეწყვეტის შემდეგ, პროლეტარიატის ერთობის მტრების, საერთაშორისო რევოლიუციის მტრების ამიერ კავკასიაში გრძელი, 4 წლის ბატონობის შემდეგ, იმ ნაციონალისტურ პარტიების—მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატისტების—ბატონობის შემდეგ, რომელმაც ამიერკავკასიის პროლეტარიატი რუსეთის პროლეტარიატისგან განაცალკევეს,—დღეს პირველათ ამიერკავკასიის პროლეტარიატი რუსეთის წითელ არმიასთან ერთათ, რუსეთის პროლეტარიატთან ერთათ იკრიბება ამ დარბაზში, ქალ. თბილისში, რათა დაუმტკიცოს მთელ ქვეყნიერებას, რომ ძველი სამკვიდრო, დატოვებული ნაციონალისტურ პარტიების მიერ, დაიმარხა სამუდამოთ.

ამხანაგებო, აქ თბილისში იყვნენ უმთავრესი დამნაშავენი და მიზეზნი ამ განცალკევებისა—ქართველი მენშევიკები, ეს მებაირახტრეები ამიერკავკასიის პროლეტარიატის დაქსაქსვისა და აქაურ პროლეტარიატის რუსეთის პროლეტარიატისაგან მოწყვეტისა. დღეს ჩვენ შევიძლიან გავიხაროთ იმით, რომ იმავ თბილისში ხელ ახლათ იკრიბება ამიერკავკასიის პროლეტარიატი იმ მიზნით, რომ ყველა საკითხები, საკითხები საბჭოთა აღმშენებლობისა, საკითხები საბჭოთა რესპუბლიკის სიკვდილ-სიცოცხლისა—გადასწყვიტოს აქვე, მენშევიზმის სამარეზედ—ქალ. თბილისში (ხანგრძლივი ტაში).

ამხანაგებო, ამიერკავკასიის კომუნისტურ პარტიის პირველ ყრილობის წინ დგანან მეტად რთული საკითხები.

საქართველოსა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების ერთი წლის, ხოლო აზერბეიჯანში ორი წლის არსებობის დროს თავი მოიყარა მრავალმა საკითხმა, რომლებიც მძლავრათ მოითხოვენ გადაწყვეტას.

ცალკე ყოველ რესპუბლიკას არას დროს არ შეუძლიან მათი გადაწყვეტა. ნურც ერთი კომუნისტი ნუ მოიტყუებს თავს იმით, რომ თუ ჩაიკეტება თავის ნაჭუჭში, თავის რესპუბლიკაში, გინდ ეს საქართველოს რესპუბლიკა იყოს, გინდ აზერბეიჯანი, გინდ სომხეთი, იგი მოახერხებს ამიერ კავკასიის ეკონომიურ ალორძინების საკითხების გადაწყვეტას. ნურც ერთი ამხანაგი ნუ იფიქრებს, რომ როგორც ამიერ-კავკასიის ისე საბჭოთა მთელ ფედერაციის ყველა საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო კავშირის გარეშე, შეიძლებოდეს გინდ ერთი ნაბიჯის გადადგმა წინ კომუნისტურ წესწყობილების დამყარების და გამაგრების გზაზე. არა, ამხანაგო, ჩვენ პირდაპირ დგას დარაზმული ბურჟუაზიული მსოფლიო, რომელიც ყოველ წამს მზათაა ჩვენ შესაჭმელათ. ჩვენთვის, ყველა საბჭოთა რესპუბლიკების კომუნისტებისთვის, ლაპარაკიც კი არაა საჭირო იმაზე, შევერთდეთ, თუ არ შევერთდეთ. სირცხვილიც კია ამისთანა რამეებზე ლაპარაკი კომუნისტურ ყრილობის დროს. მაგრამ რას იზამ. ჩვენ დაგვრჩა სავალალო მემკვიდრეობა და ამ მემკვიდრეობას უნდა ბოლო მოუღოთ, იგი დაგვიტოვეს ნაციონალისტურმა პარტიებმა. მას უნდა ვებრძოლოთ, ესაა—ძირითადი ამოცანა კომუნისტურ ორგანიზაციებისა, ამიერ-კავკასიაში. თუ მშრომელთა მასსების შეგნებიდან არ აღმოვფხრავთ ეროვნულ სიძულეს ერთმანეთისადმი, უამისოდ ჩვენ ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავდგავთ წინ. ჩვენ უნდა ვაწარმოვოთ ხანგრძლივი, სისტემატიური, მედგარი ბრძოლა, რათა შეგვეძლოს თქმა, რომ საკითხები ერთმანეთისადმი აბსოლიუტურ ნდობისა, მთელი ამიერ-კავკასიის მშრომელ მასსების რუსეთის მშრომელ ხალხთან ძმურ სოლიდარობის ნამდვილ განმტკიცების შესახებ—ჩვენ მიერ გადაწყვეტილია. რომ ამის თქმა შეგვეძლოს—ამისთვის დიდ ხანს, დიდ ხანს უნდა ვიმუშაოთ.

რომ თავი დავაღწიოთ იმ სავალალო მდგომარეობას, რომელშიაც ამ ჟამად ვიმყოფებით, ამისთვისაც უნდა დიდ ხანს, დიდ ხანს ვიმუშავოთ, რათა ყველა ჩვენი ცდა შევაერთოთ ერთ ძალათ და მკვდარ წერტილიდან დავძრათ ის ეკონომიური ნგრევა, რომელსაც ეხლა ვხედავთ ამიერ კავკასიაში.

ამხანაგებო, რომ შევერთდეთ არა თუ მარტო ჩვენ კომუნისტები, არამედ რესპუბლიკების მთელი მშრომელი მასსებიც იმ მიზნით, რომ დავიცვათ ეროვნული მშვიდობიანობა, და შევქმნათ ეკონომიური ძლიერება, ჩვენ უნდა ვიყოლიოთ ძლიერი წითელი არმია, რომელმაც მუდამ უნდა დაიცვას მშრომელთა ინტერესები, დაიცვას მშრომელნი მტრებისაგან. ხოლო ასეთი მტრები იმდენია, რამდენიც გნებავთ. წითელმა არმიამ თავის ფოლადის ხიშტებით უნდა უთხრას მათ: „არ გაბედოთ ჩვენი ქვეყნისკენ წამოსვლა, თორემ განადგურებთ!"

ყველა ამის განსახორციელებლათკი უნდა გვყავდეს ძლიერი კომუნისტური პარტია, ძლიერი ორგანიზაციის მხრივ, შედუღებული იდეურათ. ბოლშევიკური დისციპლინით, რომლითაც ჩვენ ყოველთვის ვამაყობდით და რომლის წყალობით ჩვენ მუდამ ვამარცხებდით ჩვენს მოპირდაპირეებს რომ ჩვენი კომუნისტური პარტია ძლიერი იყოს, ამისთვის არა კმარა თავის განცალკევებულ რესპუბლიკაში ფუსფუსი,—ამისთვის საჭიროა, რომ ყოველი ცალკე რესპუბლიკის კომუნისტი გარკვეულათ გრძნობდეს, რომ მისთვის ეს განცალკევებული რესპუბლიკა არ წარმოადგენს სრულ დამაკმაყოფილებელ რასმეს; კომუნისტისთვის, ქართველია იგი, თუ აზერბეიჯანელი, ყოველი საბჭოთა ქვეყანა სამშობლო უნდა იყოს. ქართველ კომუნისტისთვის სომხეთი ისეთივე სამშობლო უნდა იყოს, როგორც საქართველო, ხოლო ამიერ-კავკასიის ყველა კომუნისტებისთვის საბჭოთა რუსეთი და ყველა საბჭოთა რესპუბლიკები ისეთივე სამშობლო უნდა იყოს, როგორც ამიერ კავკასია (ტაში).

მხოლოთ ამ შემთხვევაში დავძლევთ ჩვენ საკუთარ თავსაც. უნდა ჩავიხედოთ რაც შეიძლება ღრმათ ჩვენს სულში და რა წამს ვიპოვით იქ პატარა ნაციონალისტურ სიმსაც კი, იგი უნდა ამოვგლიჯოთ, გადავაგდოთ და ვსთქვათ: „არაა საჭირო", რადგან იგი ხელს უშლის ჩვენს შეერთებას, ჩვენს ძალას, ჩვენს ღონეს. (ტაში).

აი, ამხანაგებო, თუ ამ ჩვენ წინ დაყენებულ ამოცანებს გადასწყვეტს ყრილობა, მაშინ ჩვენ უფლება გვექნება ვთქვათ, რომ ჩვენ გადავდგით წინ ერთი მეტათ სერიოზული, მეტათ დიდი ნაბიჯი. ამ ჩვენი ყრილობის გახსნის დროს, მე მინდა გამოვსთქვა რწმენა, რომ ამ დარბაზში არაა არც ერთი კომუნისტი, რომელსაც ეჭვი შეეპარა იმაში, რომ აუცილებლათ საჭიროა ჩვენი ძალების გაერთიანება იმ მიზნით, რომ სამი რესპუბლიკის განცალკევებულ კომუნისტურ პარტიებისგან შევქმნათ ერთი შედუღებული, განუყოფელი იდეიურათაც და ორგანიზაციულათაც პარტია.

ამხანაგებო არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვიდრე ჩვენ ამ დარბაზში მოვიდოდით ვიდრე ჩვენ მოვიპოვეთ შესაძლებლობა აქ კომუნიზმზე ლაპარაკისა—ჩვენ გადავიარეთ მთელი მთები გვამებისა. ათასი ჩვენი საუკეთესო ამხანაგი—კომუნისტები, ათასი საუკეთესო ჩვენი დამცველები წითელ არმიელები დაიხოცნენ იმისთვის, რომ აქ წითელი დროშა აღემართათ. და რაღა თქმა უნდა, ჩვენი პირველი ყრილობა ჯეროვან პატივსა სცემს ამ დიდ გმირებს.

ყველანი ფეხზე დგებიან. ორკესტრი ასრულებს სამგლოვიარო მარშს.

ამხანაგებო, ვათავებ რა ჩემს სიტყვას, ნება მომეცით გადმოგცეთ ძმური სალამი რუსეთის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტისგან და გისურვოთ სრული წარჩინება თქვენს მუშაობაში.

ტაში. ორკესტრი ასრულებს ინტერნაციონალს.

### არჩევნები

ამხ. ორჯონიკიძის სიტყვის შემდეგ დაიწყო არჩევნები. ყრილობის პრეზიდიუმში აირჩიეს:

ამხ. ორჯონიკიძე, კიროვი, ფილ. მახარაძე, მიასნიკოვი, კარაევი, პლეშაკოვი, ლისოვსკი, ეშბა, მამულია, მუსაბეკოვი, ხანბუდაგოვი, მირზოიახი, ეგოროვი, ლადო დუმბაძე და ლუკაშინი.

სეკრეტარიატში არჩეულია: კულიევ მუსტაფა, კახიანი, ნაზარეტიანი და ორახელაშვილი.

სამანდატო კომისიაში: ბელენკი, შორინი, შადუნუ, ავენირ და კვაჭაძე

სარედაქციო კომისიაში: ჩაგინი, კახიანი და რუდაკოვი.

### დღის წესრიგი:

ყრილობამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: 1) კავბიუროს ანგარიში; 2) ფედერაციის კომისიის მოხსენება; 3) წითელი არმია, 4) ტრანსპორტი, 5) პარტიული აღმშენებლობა, 6) გაერთიანებული საგარეო ვაჭრობა და ნავთის მრეწველობა (2 მოხსენება), 7) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის, სარევიზიო და საკანტროლო კომისიების არჩევნები.

### მისალმებანი

შემდეგ ყრილობა ისმენს მისალმებებს: საქართველოს კომპარტიის ცეკას სახელით—ამხ. მახარაძე, აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკას—ამხ. კარაევი, სომხეთის კომპარტიის ცეკას—ამხ. მიასნიკოვი. საერთაშორისო ქალთა სეკრეტარიატის—ამხ. ცეიტლინი. რუსეთის პროფკავშირების ცენტრალურ საბჭოს—ამხ. ანტიპოვი. კავკასიის ცალკე არმიის—ამხ. ლისოვსკი. კასპიის წითელი ფლოტის—ამხ. სილინი. კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის კავბიუროს—ამხ. კარაში. ბოლოს ყრილობას ესალმება ამხ. კიროვი.

შემდეგ კითხულობენ პარტია განჩაკის ცეკას მისალმების დეპეშას.

### კომისიები გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის და ფედერაციის საკითხების შესახებ.

ყრილობა ირჩევს ორ კომისიას თეზისებისა და რეზოლიუციების გამოსამუშავებლად საგარეო გაერთიანებულ ვაჭრობის და ფედერაციის საკითხების შესახებ.

პირველ კომისიაში არჩეულია: ამხ. სერებრიაკოვი, ხანბუდაგოვი, რაბინოვიჩი, ლუკაშინი, ტოროშელიძე და ორჯონიკიძე.

მეორე კომისიაში: მომხსენებელი—ამხ. ეგოროვი, წევრები—ავის, მამია ორახელაშვილი და პოლუიანი.

სხდომა იხურება საღ. 8 საათ. 25 წამზე.

## სილიბისტრო ჯიბლაძის ხსოვნას

ძველი რომაელები ამბობდენ: გარდაცვალებულზე ან კარგი, ან არაფერიო. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ თქმულებით ჩვენ, კომმუნისტები, ვერასოდეს ვერ ვიხელმძღვანელებთ, მით უმეტეს ისეთ დიდ და მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოღვაწეს, როგორიც იყო აწ გარდაცვალებული **სილიბისტრო ჯიბლაძე**.

ისტორიამ, მთელმა ჩვენმა ცხოვრებამ თავიდან ს. ჯიბლაძე და მე მეტათ მჭიდროთ დაგვაკავშირა. მაგრამ იმავე ისტორიულმა განვითარებამ, იმავე ცხოვრებამ 1905 წლიდან მოყოლებული, ე. ი. ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიაში განხეთქილების დაწყების დღიდან (მენშევიკებათ და ბალშევიკებათ დაყოფა), ჩვენ შორის თანდათან ამოთხარა უფსკრული და ჩვენ სამუდამოთ გაგვთიშა. ჩვენ არა თუ დავშორდით ერთმანეთს, არამედ გადავიქეცით ერთი ერთმანეთის უსასტიკესი მოწინაღმდეგენი. ჩვენ შორის აღიმართა სამკვდრო-სასიცოცხლო ომი, თითოეული ჩვენგანი დაადგა სულ სხვადასხვა ისტორიულ გზას. რისთვის მოხდა ეს ასე? როგორც ამბობდა ერთი უძველესი ფილოსოფოსი საბერძნეთისა, ჩვენ ამ შემთხვევაში არ გვმართებს არც **ტირილი** და არც **სიცილი**, ჩვენ მხოლოდ უნდა **გავიგოთ.**

დასაწყისში ჩვენ შეგვაერთა **რევოლიუციის იდეამ,** ჩვენ მჭიდროთ შეგვაკავშირა **მუშათა კლასსის განთავისუფლების საქმემ.** ეს იდეა, ეს საქმე თავდიპირველათ მრავალი წლების განმავლობაში მაგარი ფოლადის ჯაჭვით გვაკავშირებდა და გვაერთებდა ჩვენ; მაგრამ, სამწუხაროთ, რუსეთის პირველი რევოლიუციის შემდეგ (1905—6 წ.) ეს კავშირი როგორღაც გაიბზარა, იდეიურათ ჩვენ დავშორდით ერთმანეთს, ჩვენ შორის დარჩა მხოლოდ მოგონება ძველ მეგობრობასა და ამხანაგურ ურთიერთობაზე; ხოლო 1917 წლის რევოლიუციის შემდეგ, როცა ისტორიამ დაგვიყენა საკითხი მუშათა კლასსის გამარჯვებაზე ცხოვრებაში, არა მარტო იდეიურათ, არამედ პრაქტიკულათ, როცა ისტორიულმა მსვლელობამ ჩვენ მიგვიყვანა დილემამდე: **ან ბურჟუაზიის აულაგმავი დიქტატურა, ან დიქტატურა მუშათა კლასსის, სილ. ჯიბლაძე,** როგორც ერთი უძლიერესი ხელმძღვანელი და ბელადი მთელი მენშევიკური პარტიისა ჩვენში გადაჭრილ დ წარბშეუხრელათ გამოვიდა **ბურჟუაზიის დიქტატურის არა თუ მომხრეთ,** არამედ **აქტიურ დამცველათ მუშათა კლასსის დიქტატურის წინააღმდეგ.** ამ დღიდან ს. ჯიბლაძე მუშათა კლასსისთვის აღარ არსებობს, იგი როგორც იდეოლოგი მშრომელი მასსისა მოკვდა, კიდევ მეტი, იგი გადაიქცა მის მტრათ, მის მოღალატეთ. ეს გარდაქმნა არ მომხდარა ერთბაშათ, მოულოდნელათ: 1905 წლიდან იგი ხდება მენშევიკი, შემდეგ ოპპორტიუნისტი და უკიდურესი ლიკვიდატორი, ხოლო 1917 წლის პროლეტარული რევოლიუციის შემდეგ იგი აშკარათ დგება ბურჟუაზიული კონტრევოლიუციის ბანაკში, როგორც ასეთი მისი უდიდესი ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი. ამ გვარათ ს. ჯიბლაძის მოღვაწეობას ჩვენ ვყოფთ **ორ უმთავრეს ხანათ: 1) 1905 წლამდე და 2) 1905—6 წლების შემდეგ:** რამდენათ პირველ ხანაში ჩვენ ვხედავთ ს. ჯიბლაძეში ნამდვილ, ჭეშმარიტ, შეუდრეკელ და ცეცხლივით ანთებულ რევოლიუციონერს და მუშათა კლასსის ინტერესიებს უშიშარ და უერდგულეს ქომაგს და დამცველს, იმდენათ მეორე ხანაში ეს რევოლიუციონერობა და მუშათა კლასსის ინტერესების ქომაგობა მასში თანდათან ხუნდება, დუნდება, დნება-ჭკნება, და ბოლოს სავსებით ქრება.

აქვე უნდა განვაცხადო შემდეგი: ს. ჯიბლაძის მთელი სიცოცხლე მჭიდროთ შეკავშირებულია ამიერ-კავკასიის სოციალ დემოკრატიულ ორგანიზაციასთან, 1905 წლამდე გაერთიანებულის, შემდგომ კი მენშევიკური ორგანიზაციის და პარტიის. ყველამ იცის, რომ იგი არ ყოფილა პარტიის უბრალო წევრი, იგი იყო ამ პარტიის ერთი უმთავრეს დამაარსებელთაგანი და ხელმძღვანელი უკანასკნელ წუთამდე. როცა მენშევიკების სხვა ბელადები შარშან აქედან გაიქცენ, ს. ჯიბლაძე საქართველოში დარჩა არა ტყვილა ყოფნისთვის, არამედ სამუშაოთ, ვინაიდან მას არ შეეძლო გულხელ დაკრეფილი ყოფილიყო და არ ემოქმედნა ისე, როგორც უკარნახებდა მას მისი რწმენა. თავისთავად იგულისხმება, რომ ს. ჯიბლაძის მოღვაწეობა, მისი სავსებით დახასიათება და დაფასება, ეს მომავალი ისტორიის საქმეა, და როცა ასეთი პირუთვნელი ისტორია დაიწერება, მაშინ სავსებით გამოირკვევა, თუ როგორი იყო მისი როლი სხვა და სხვა ისტორიულ ხანაში. ახლა კი ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ მცირე შენიშვნებით. მე დღეს მეტათ მეძნელება მასზე ლაპარაკი და წერა, დაახლოვებული ამხანაგები ამას ადვილად გაიგებენ, მაგრამ იმავე დროს არც გაჩუმება შეიძლება, და რასაც ვწერ ან ვლაპარაკობ დღეს ს. ჯიბლაძეზე, ამას ჩავდივარ სავსებით გულწრფელად, გულახდილათ, ს. ჯიბლაძესა და მთელ მის პარტიას შორის ერთი მხრით და ჩვენს პარტიას შორის მეორე მხრით, როგორც ნათქვამი იყო ზევით, ამოუვსებული უფსკრული გაითხარა და ჩვენ ურთიერთ შეურიგებელ მტრებათ გადავიქეცით მაგრამ მიუხედავათ ამისა ჩვენ ვიხრით მუხლს ძველი, ერთ დროს ცეცხლის მფრქვეველი რევოლიუციონერის და მუშათა კლასის ერთგული დარაჯის—სილ. ჯიბლაძის ცხედრის წინაშე, ჩვენ მას ვაკუთნებთ იმას, რისიც იგი ღირსია, მაგრამ იმავე დროს ჩვენ სავსებით ვიმიჯნებით იმისგან მას შემდეგ, როცა იგი შეიქნა ოპორტუნისტი, ბურჟუაზიასთან შემთანხმებელი და პროლეტარიატის მოღალატე პროლეტარული რევოლიუციის ხანაში. ჩვენ სავსებით ვღებულობთ დაფასებით მის დიდ ღვაწლს, მის დიდ სამსახურს ჩვენი რევოლიუციის წინაშე, მის დაუღალავ და ენერგიულ მოღვაწეობას ჩვენი მუშების გამოფხიზლებაში, რევოლიუციონური მოძრაობის და ბრძოლის გაჩაღებაში; ჩვენ ვცნობთ მასში ამიერ-კავკასიის მუშათა კლასის ერთ შესანიშნავ ბელადთაგანს, რომელსაც მართლაც რომ დიდი სამსახური მიუძღვის ყველა ამაში, და მუშათა კლასსის ისტორიაში მისი სახელი მუდამ წაუშლელი დარჩება. მაგრამ ამავე დროს სიმართლე, ულმობელი სინამდვილე გვაიძულებს ვთქვათ, რომ ის, რასაც ს. ჯიბლაძე ჩადიოდა და აკეთებდა თავის მოღვაწეობის მეორე ხანაში, როცა მან ნ. ჟორდანიას და სხვა ლიკვიდატორების ზეგავლენით უარყო რუსეთში მეორე რევოლიუციის აუცილებლობა, როცა იგი შეიქნა კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის ერთი აქტიურ მეთაურთაგანი და თითქმის ერთად ერთი უმხურვალესი სულის ჩამდგმელი,—ყოველივე ეს სრულიად ეწინააღმდეგება და სპობს იმას, რასაც ს. ჯიბლაძე აკეთებდა, რასაც იგი ემსახურებოდა თავის მოღვაწეობის პირველ ხანაში.

უბედურება ის არის, რომ ს. ჯიბლაძე ჩვენში მეტათ მსხვილი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწე იყო. მთელი თავისი ნიჭი, მთელი თავისი მხურვალე ტემპერამენტი, მთელი თავისი გესლიანობა და მახვილი გონება, რასაც იგი წინეთ მუშათა კლასსის სასარგებლოთ იყენებდა მუქთახორების, მყვლეფელ-მძარცველების წინააღმდეგ, ყოველსავე ამას იგი შემდეგში, თავის მოღვაწეობის მეორე ხანაში ახმარებდა და იყენებდა მუშათა კლასსის წინააღმდეგ მისი მყვლეფელების და მძარცველების სასარგებლოთ. ამ მხრით ს. ჯიბლაძე შეიძლება რამდენიმეთ შევადაროთ **გ. პლეხანოვს.** ყველამ იცის, ვინ იყო და რა ღვაწლი მიუძღვის გ. პლეხანოვს რუსეთის რევოლიუციაში, თუ რა როლი ითამაშა მან რევოლიუციონური მარქსიზმის გავრცელებაში არა მარტო რუსეთის, არამედ საერთაშორისო მასშტაბით. მაგრამ ყველამ იცის აგრეთვე ისიც, თუ ერთ დროს ეს უდიდესი მარქსისტი როგორ ხცდა რევოლიუციონური მარქსიზმის გზას, როგორ უღალატა, როგორ დაუწყო უარყოფა ყოველივე იმას, რასაც წინეთ ეთაყვნებოდა, რისთვისაც დიდი ხნის განმავლობაში იბრძოდა; ე. ი. გ. პლეხანოვსა და ს. ჯიბლაძეს შორის ამ მხრით სრული მსგავსებაა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ გ. პლეხანოვი უკანასკნელ ხანებში, როცა მან ზურგი შეაქცია მარქსიზმს და პროლეტარიატის დიქტატურას, აქტიური მომქმედი უკვე აღარ იყო, მას რუსეთის ცხოვრებაში ნიადაგი აღარ ქონებია, იგი სრულიად გარიყული იყო დ მუშათა კლასსისთვის მისი ღალატი იმდენათ მავნებელი აღარ ყოფილა. სულ სხვა იყო ს. ჯიბლაძე: იგი უკანასკნელ წუთამდე პრაქტიკული მოღვაწე იყო, აწინდელ რევოლიუციის დროს იგი დაუღალავი მომქმედი პირი იყო. აქედან სრულიად ადვილი ასახსნელია ის მწვავე განწყობილება, რომელიც არსებობს ჩვენსა და იმ პარტიას შორის, რომელსაც ს. ჯიბლაძე წარმოადგენდა. კიდევ კარგი, რომ გაშმაგებული იერიშების მოტანა ჩვენზე, ბალშევიკებზე, როგორც პროლეტარულ რევოლიუციის გამტარებლებზე, პირველათ იწყეს მენშევიკებმა ს. ჯიბლაძის, ნ. რამიშვილის და სხვების მეთაურობით, ვინაიდან ისინი მაშინ ჩვენზე ძლიერები იყვენ. თავის თავად იგულისხმება, რომ როცა ჩვენ გავძლიერდით, ასეთ შეტევაზე ჩვენც მაშინვე გადავედით. აშკარაა, რომ როგორც ჩვენ, ისე მენშევიკები სრულიად შეგნებულათ ვიბრძვით პოლიტიკური გეგემონიისათვის სხვადასხვა მიზნით: ისინი ბურჟუაზიის გასაბატონებლათ, ჩვენ მუშათა კლასის სავსებით გასანთავისუფლებლათ. ეს ბრძოლა დამთავრდება ან ერთის ან მეორე მებრძოლი ბანაკის გამარჯვებით. სანტიმენტალობას, გულჩვილობას და სხვა ათასგვარ გრძნობებს აქ ადგილი არ აქვს და არც ექნება. მაგრამ ბრძოლა შეიძლება იყოს პატიოსანი და უპატიოსნო.

გზა, ჩვენი მიზანი აშკარა და ნათელია. ვაი იმათ, ვინც ამ გზას, ამ მიზანს გადაუდგება და გადაეღობება წინ; და ვაი იმას, ვინც უღალატებს მუშათა კლასს. რაც უნდა დიდი იყოს მისი სამსახური წარსულში, პროლეტარიატი მას მაინც არ აპატიებს ამ ღალატს. პროლეტარიატი ღირსეულად აფასებს თავის მებრძოლთ, თავის ხელმძღვანელებს და ბელადებს, ვინც ბოლომდის რჩება მასთან, ვინც ბოლომდის მიდის მასთან ერთად ეკლიან და ტანჯვის გზაზე. მაგრამ იგი ზურგს აქცევს იმათ, ვინც მას ამ გზაზე ტოვებს და მის მტრებს უერთდება. სამწუხაროთ, ასე დაემართა ს. ჯიბლაძეს.

ფ. მახარაძე.

20 | II—22 წ.

# კავშიუროს პოლიტიკური მოღვაწეობის ანგარიში

(ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენება)

## ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენება

16 თებერვლის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა რ. კ. პარტიის კავშიუროს მოღვაწეობის ანგარიშები: პოლიტიკური—ამხ. ორჯონიკიძის, ორგანიზაციული—ამხ. ნაზარეჯიანის.

თავის მოხსენებაში ამხ. ორჯონიკიძემ სთქვა შემდეგი:

### აგვისტოს საოლქო პარტიული თათბირი რ. კ. პ. კავშიუროს ამოცანების შესახებ

ამხანაგებო! რ. კ. პარტიის კავშიუროს ანგარიში, რომელსაც გიდგენთ დღეს, ეხება მის მოღვაწეობას აგვისტოდან თებერვლამდე. აგვისტოს საოლქო პარტიულ თათბირზე ჩვენ გავაკეთეთ მოხსენება პოლიტიკური და ორგანიზაციული მოღვაწეობის შესახებ და მგონია, რომ იმ პერიოდს ჩვენ დღეს აღარ დაუბრუნდებით. აგვისტოს პარტიულმა თათბირმა, მოისმინა რა კავშიუროს მოხსენება, დაგვიყენა შემდეგი ამოცანები.

საგარეო პოლიტიკის სფეროში თათბირმა საჭიროდ გამოაცხადა გაგრძელება მეგობრული და ძმური დამოკიდებულების მეზობელ ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან, ოსმალეთთან და სპარსეთთან. აღნიშნული იყო საჭიროება მომავალშიაც მხარი დაგვეჭირა ნაციონალურ განმათავისუფლებელ მოძრაობისათვის, ამ ქვეყნებში.

საშინაო პოლიტიკის სფეროში, აღნიშნა რა მიღწეული დადებითი შედეგები—ნაციონალური მშვიდობიანობა და მიუთითა რა პარტიაში არსებული ერთნაირ ნაციონალისტურ გადახრაზე, თათბირმა დააყენა კითხვა ამიერკავკასიის რესპუბლიკები ნაციონალური სოლიდარობის კიდევ უფრო განმტკიცებაზე და სასტიკ ბრძოლაზე ნაციონალისტური გადახრის წინააღმდეგ პარტიაში. თათბირმა ქვევით აღნიშნა, რომ ამ რესპუბლიკების მოსახლეთა მასებს შორის ეროვნული სოლიდარობის განსამტკიცებლათ და ამიერკავკასიის ეკონომიური ძლიერების განსავითარებლათ, საჭიროა მჭიდრო ეკონომიური გაერთიანება. მჭიდრო ეკონომიური გაერთიანების გარეშე თათბირს ვერ წარმოედგინა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების შემდეგი განვითარება. აღნიშნა რა საშინელი სასურსათო გაჭირვება, დარწმუნებულმა იმაში, რომ ადგილობრივი რესურსებით ამ გაჭირვების დაშუშვებას ჩვენ ვერ შევსძლებთ, პარტიულმა თათბირმა წამოაყენა პარტიის წინაშე ამოცანა სასურსათო საშუალებათა გამონახვის შესახებ და ამ გზით, როგორათაც არ უნდა დაგვჯდომოდა ეს, ჩვენი მრეწველობის უმთავრესი დარგების უზრუნველყოფა: ნავთის მრეწველობის, რკინის გზის, და, რასაკვირველია, არმიის, ურომლისოდაც წარმოუდგენელია საბჭოთა ამიერ-კავკასიის არსებობა. ამ მიზნით გადაწყვეტილ იქნა საგარეო ბაზართან ვაჭრობის განვითარება გაერთიანებული საგარეო ვაჭრობის ორგანოს (ობვნეშტორგის) საშუალებით და წინადადება მიეცა ყველა რესპუბლიკებს, გადაეცათ თავისი სავალიუტო ფონდები ამ ორგანოსთვის. შემდეგ კი განძრახული იყო დაწყება ამიერ-კავკასიის მიწების მორწყვის და პირველყოვლისა მუღანის მინდვრების.

ქვევით, ამხანაგებო, ისმებოდა საკითხი ამიერ-კავკასიის გაერთიანებული ორგანოების, საგარეო ვაჭრობის და რკინის გზების, შესახებ. აღნიშნავდნენ, რომ ზოგიერთი კერძო ჯგუფები (ლაპარაკი იყო, რასაკვირველია, არა პარტიულ ჯგუფებზე), აწარმოებენ საბოტაჟს გაერთიანებული ორგანოების წინააღმდეგ. თავის მხრით თათბირმა მოუწოდა პარტიას, მთელი შესაძლებლობით ხელი შეეწყო ამ გაერთიანებული ორგანოებისათვის და ეწარმოებია აგრეთვე ფართო აგიტაცია უპარტიო მასსებში. ჩვენი სტრატეგიული მდგომარეობის და იმის გამოც, რომ ჩვენ ვდგევართ მტრების წინაშე, საჭიროთ იყო მიჩნეული ძლიერი წითელი არმიის შექმნა და აგრეთვე მისი ადგილობრივი ნაციონალური ნაწილების შედგენა.

ყველა ამ ამოცანების გადაჭრა დაკავშირებული იყო აქ ძლიერი კომუნისტური პარტიის არსებობასთან. ამიტომ, უთითებდნენ რა იმაზე, რომ პარტიაშია ერთნაირი მიდრეკილება გაფართოებისაკენ, მისი შემადგენლობის ხარისხის ხარჯზე, თათბირმა დაადგინა პარტიის გაწმენდა უცხო ელემენტებისაგან და მისი ორგანიზაციულათ და იდეიურათ გამაგრება, რათა ის მართლაც იყოს თავის დანიშნულების სიმაღლეზე.

თათბირმა აღნიშნა აგრეთვე, რომ ჩვენი მხარეა ნამდვილი გლეხური და რომ აბსოლიუტურათ საჭიროა სწორათ მივუდგეთ ამ გლეხობას, რადგან უამისოთ ჩვენ შევიქნებით მოწამენი ბევრი არასასურველი მოვლენების.

აი, ამხანაგებო, ის ამოცანები, რომლებიც დაუყენა კავშიუროს თათბირმა. ჩემ მოხსენებაში აწი მე ვილაპარაკებ იმაზე, თუ რამდენათ შევსძელით ჩვენ დავალებული საქმის შესრულება.

### საგარეო პოლიტიკა

საგარეო პოლიტიკის სფეროში, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ პარტიული თათბირის დადგენილებანი სრულიად და სავსებით გავატარეთ განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას ოსმალეთის შესახებ.

**დამოკიდებულება ოსმალეთთან.**

ჩვენ მუდამ ვატარებდით ქემალისტური ოსმალეთისადმი მეგობრობის, ფართო დახმარების პოლიტიკას. ამ პოლიტიკამ იპოვა თავისი გამოხატულება ყარსის ხელშეკრულებაში წარსული წლის შემოდგომაზე. ყარსის კონფერენცია მუშაობდა საბერძნეთის არმიის დიდი გამარჯვების მომენტში. ქემალისტური ოსმალეთი განიცდიდა მაშინ საკმაოთ მძიმე მომენტს. რასაკვირველია, თქვენ ყველამ უწყით, რამდენი ლაპარაკი იყო მაშინ საზღვრების შესახებ ოსმალეთსა და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის. ამიერ-კავკასიაში რომ სხვა მთავრობა ყოფილიყო და არა საბჭოთა ხელისუფლება, ის უეჭველათ ისარგებლებდა ამ მდგომარეობით; მაგრამ ჩვენ, რასკვირველია, ვერასფერ მსგავს რამეს ვერ მოვიმოქმედებდით. 3 სექტემბრის დადგენილების თანახმათ კავშიურომ მისცა თავის დელეგაციას ყარსში შემდეგი ნაკაზი: ფართო გამოხატულება მისცეს ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოლიდარობას ქემალისტურ ოსმალეთთან და მთელი ძალით მხარი დაუჭიროს მის მთავრობას ანტანტასთან ბრძოლაში, და ჩვენმა დელეგაციამ შეასრულა ეს ნაკაზი. ყარსის კონფერენცია დათავდა მეგობრული და ძმური ხელშეკრულებით ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების და ანატოლიის ოსმალეთს შორის. ოსმალეთის და საფრანგეთის შორის დადებულ ხელშეკრულების გამო ადგილი ჰქონდა ყოველნაირ მითქმა-მოთქმას იმის შესახებ, თითქმის ქემალისტურ ოსმალეთს რაღაც აგრესიული განძრახვები ჰქონდეს ჩვენს წინააღმდეგ.

მას შემდეგ რაც ამხ. ფრუნზე წავიდა ანგორაში და იქ დაჰყო, მისმა მოხსენებამ სრულიათ გადაჭრა ეს საკითხი და ამ ჟამათ ჩვენ გვაქვს ოსმალეთთან საუკეთესო დამოკიდებულება.

ამ ჟამათ ადგილი აქვს ეკონომიურ კონფერენციას და უნდა ვიფიქროთ, რომ ის დათავდება აგრეთვე წარმატებით ჩვენ შორის მეგობრული კავშირის განმტკიცების აზრით.

**დამოკიდებულება სპარსეთთან.**

რაც შეეხება სპარსეთს, ამ ხნის განმავლობაში სპარსეთში მოხდა დიდი ცვლილებები. თქვენ იცით, რომ სპარსეთი აქამდი არ წარმოადგენს მთლიან სახელმწიფოს. ის დაქუცმაცებულია ცალკე ნაწილებათ და მის სხვა და სხვა ადგილებში ჩვენ ვხედავთ მთელ რიგ აჯანყებებს. აჯანყება მოხდა გილიანსკის რაიონშიც ძალაუფლება იქ ხელში ჩაიგდო რევოლიუციონურმა ჯგუფმა და მთელი წელიწადი იცავდა მას. აჯანყება მოხდა აგრეთვე ხოროზანის რაიონში. ამას წინად თავრიზში მოხდა ჟანდარმების აჯანყება.

ამ ნაირად მხარე იმყოფება ვულკანურ მდგომარეობაში. და ჩვენ, ვიმყოფებით რა სპარსეთის მეზობლათ, გვაქვს რა შახის მთავრობასთან საზავო ხელშეკრულება, უნდა გამორკვეულიყო ჩვენი დამოკიდებულება ამ რევოლიუციონურ გამოსვლებთან. ცხადია, რომ ასეთ პოლიტიკურ პირობებში ჩვენ სპარსეთის რევოლიუციონურების აქტიურად დახმარება არ შეგვეძლო; მსოფლიო მდგომარეობა მოითხოვდა ჩვენგან სპარსეთის რევოლიუციონერების შეიარაღებულ უარის თქმას დახმარებაზე. მსოფლიო მდგომარეობა მოითხოვდა ჩვენგან, რომ ჩვენ გამოგვეყვანა ჩვენი ჯარები სპარსეთიდან. იქ იყო აზერბეიჯანის ნაწილები, რომლებიც ჩვენ უნდა გამოგვეყვანა, რომ საშვალება არ მიგვეცა ინგლისის პროვოკატორებისათვის აეტეხათ განგაში, თითქოს საბჭოთა ხელისუფლება სპარსეთის მიმართ განაგრძობს მეფის ძველ პოლიტიკას. ჩვენ პოლიტიკას არა აქვს განზრახული ჩაერიოს სპარსეთის შინაურ საქმეებში. საბჭოთა რუსეთმა უკვე დასდო საზავო ხელშეკრულება სპარსეთთან; ამიერ კავკასიის რესპუბლიკებიც აწარმოებენ მოლაპარაკებას საზავო ხელშეკრულების დასადებათ. რაც შეეხება ჩვენ მოწინა-ღმდეგებს სპარსეთში, ისინი იძულებული იყვნენ გამოეყვანათ თავიანთი ჯარები სპარსეთიდან, მაგრამ ეხლა ისინი ცდილობენ ეკონომიური გზით მის ხელში ჩაგდებას.

**სპარსეთის და ოსმალეთის კომპარტიები.**

ჩვენ ყოველთვის გვქონდა კავშირი სპარსეთის კომუნისტურ ორგანიზაციებთან. იქ იყო რამოდენიმე კომუნისტური პარტია და ხანგრძლივი შეხლა-შემოხლის შემდეგ შესაძლებელი გახდა მათ შორის არსებული უთანხმოების ლიკვიდაცია, ამ ჟამად სპარსეთში არსებობს ერთი კომუნისტური პარტია, რომელმაც დაიწყო მუშაობა და რამოდენიმედ შესძლო, მუშათა სწორი ორგანიზაციის ნიადაგზე დადგომა. კიდევ მეტი, სპარსეთში მხოლოდ ორი თვის წინად გამოვიდა კომუნისტური გაზეთის პირველი ნომერი, რომელსაც ამშვენებდა წარწერა: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!“

რაც შეეხება კომუნისტური პარტიის მდგომარეობას ქემალისტურ ოსმალეთში, იქ ამხ. სუბხის დაღუპვის შემდეგ პარტიამ შესწყვიტა თავის არსებობა. ანატოლიის ოსმალეთში კი იმყოფება ცალკე კომუნისტები.

### შინაური პოლიტიკა

**ნაციონალური მშვიდობიანობა.**

გადავდივართ რა ჩვენი შინაური ცხოვრების მეორე საკითხზე—ნამდვილი ნაციონალური მშვიდობიანობის დაცვისა და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის ინტერნაციონალურ სოლიდარობის გამტკიცების შესახებ, ჩვენ წინ იჭრება ნაციონალური მშვიდობიანობის აღდგენის საკითხი არა მარტო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის, არამედ ამ რესპუბლიკების შიგნითაც.

**რა ხდებოდა მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავატელების დროს.**

ამიერ-კავკასიაში მცხოვრებლების რიცხვი უმნიშვნელოა. ამის შესახებ სწორი სტატისტიკური ცნობები არ მოგვეპოვება. საქართველოში და ადერბეიჯანში ითვლება 5,000,000 კაცამდი, სომხეთში—ერთიდან ერთ ნახევარ მილიონამდი; ასე რომ საერთოდ იქნება არა უმეტეს 6 ნახ. მილიონ მცხოვრებლებისა. ამავე დროს თითოეულ რესპუბლიკაში ცხოვრობს ძალიან ბევრი ეროვნებები, და ეს ეროვნებები ცალკე რესპუბლიკებში არ შეადგენენ მნიშვნელოვან უმცირესობას. ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ცალკე ეროვნებები რესპუბლიკების შიგნით მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავატელების ბატონობის ხანაში, აწარმოებდენ ერთმანეთში გააფთრებულ ბრძოლას.

თუ მაგალითად თქვენ აიღებთ საქართველოს, იქ, მენშევიკური მთავრობის დროს, ხდებოდა წარმოუდგენელი შეტაკებები. თქვენ დაინახავთ სამხრეთ ოსეთის განადგურებას, აბხაზეთის და აჭარის აოხრებას, დაინახავთ ომს ახალქალაქის და ახალციხის მუსულმანებთან და ნამდვილ ომს საქართველოს და სომხეთის შორის.

იგივე ხდება აზერბეიჯანში: სწარმოებდა განუწყვეტელი ომი მუსულმანებსა და სომხებს შორის; აძევებდენ შემახის და გოგჩის მაზრების რუს მცხოვრებლებს.

ასეთი ხოცვა-ჟლეტა იყო აგრეთვე სომხეთშიც. ამ ნაციონალურ სიძულვილს და სისხლიან შეტაკებებს ადგილი ჰქონდა ამიერ-კავკასიის ცალკე ხალხებს შორის სწორედ მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავატელების ბატონობის დროს.

თუ თქვენ აიღებთ აზერბეიჯანის დამოკიდებულებას ყარაბაღის ან ზანგეზურის რაიონთან, აქ ყოველთვის სწარმოებდა საშინელი და მკაცრი ომი. გაანადგურეს ქ. შუშა. ამ ქალაქის სომეხი მცხოვრებლები ერთიანად აღგავეს დედა მიწის პირიდან და ჩვენ ვხედავდით როგორ ცურავდენ ჰებში ჩაგდებული ქალების გვამები. არ ინდობდენ ძუძუ მწოვარა ბავშვებსაც. აი, როგორი დამოკიდებულება იყო შიგ რესპუბლიკებში სხვა და სხვა ეროვნებებს შორის. თუ მივიღებთ მხედველობაში ამ ეროვნებების პროცენტულ დამოკიდებულებას შიგ რესპუბლიკებში მაშინ ჩვენთვის ნათელი იქნება თუ რა მკაცრი და დაუნდობელი იყო ეს ომები.

**ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ნაციონალური შემადგენლობა.**

ეხლანდელი პერიოდის სტატისტიკური ცნობები ჩვენ არ მოგვეპოვება. მაგრამ გვაქვს 1917 წლის სტატის. ცნობები ეს ციფრები არ გვაძლევს სრულ წარმოდგენას ამიერ კავკასიის ხალხების რაოდენობისას როგორც მთელ ამიერ კავკასიაში ისე ცალკე რესპუბლიკებში, მაგრამ საერთო სურათს ისინი უთუოდ გვაძლევენ.

1917 წლის აღწერით საქართველოს ტერიტორიაზე ითვლება—2,402,230. აქედან ქართველი—1,615,216—73,3 პროც., სომეხი—158,490—8,1 პროცენტი, რუსი—30,786—1,6 პროც., ოსი—92,575—7,8 პროც, თათარი—77,109 — 3,9 პროც., აფხაზები—39,955—2,1 პროც., დანარჩენი (გერმანელები, ბერძნები და სხ.)—123,380 6,2 პროც. აღმოსავლეთ საქართველოში ქართველები შეადგენს—50,2 პროც., სომეხი—16,8 პროც., რუსი—2,9 პროც, ოსი—10,6 პროც, თათარი—9,2 პროც., სხვა ხალხები—10 პროც. თბილისში 1917 წ. მცხოვრებლები იყო—246,910. აქედან ქართველი—25 პროც., სომეხი — 33 პროც. და სხ. ამ ხნის განმავლობაში ეს ციფრები რამოდენიმედ შეიცვალენ, მაგრამ საერთო სურათი ნათელი რჩება. ეს სურათი ისეთია, რომ საქართველოში, რომელიც უფრო ნაციონალურად ითვლება, ვიდრე სხვა რესპუბლიკები, დავინახავთ, რომ საქართველო არ წარმოადგენს ქართველებით დასახლებულ კომპაქტიურ მხარეს, არამედ იქ იმყოფება აუარებელი სხვა ერები და ეს ერები წარმოადგენენ საკმაოდ საგრძნობ რიცხვს. მენშევიკების დროს აქ სწარმოებდა ხოცვა-ჟლეტის ომი ხალხებს შორის.

აზერბეიჯანში სტატისტიკური ცნობების მხრივ საქმე კიდევ უფრო ცუდათაა. იქ არაა 1917 წლის ცნობებიც და ამიტომ გვიხდება ვისარგებლოდ შედარებით მოძველებული ციფრებით.

მაგრამ თუ ეხლაც აღმოჩნდება, რომ ამ ციფრებში მოხდა დიდი ცვლილებები, ეს იქნება საუცხოვო დამადასტურებელი იმ გამანადგურებელი ომებისა, რომლებიც იყვნენ იქ. თუ აღმოჩნდება რომ სომხები ეხლა უფრო ნაკლებია ვიდრე წინად ეს იმას ნიშნავს, რომ მათი საგრძნობი რიცხვი ამოხოცეს; თუ აღმოჩნდება რომ მუსულმანების რიცხვმა ყარაბაღის და ზანგეზურის რაიონებში იკლო, ეს აიხსნება იმით, რომ ისინი ან იძულებული იყვნენ იქიდან წასულიყვენ ან იქ დაიხოცენ—ბაქოში და ბაქოს გუბერნიაში ითვლებიან თურქები—58 პროც. სპარსელები—15 პროც. რუსები—9,4 პროც. მთიელები—76 პროც. სომხები—6,3 პროც. განჯის გუბერნიაში თურქები—60,8 პროც. სომხები—33,4 პროც. კავკასიის მთიელები—2,6 პროც.

სომხეთში ჩვენ არ გვაქვს დაახლოვებითი ცნობებიც. თუ ავიღებთ ძველ ციფრებს ისინი ვერაფერს გვეტყვიან, იმიტომ რომ სომხეთის ნაწილი გადავიდა ოსმალეთზე, ნაწილი გაიფანტა. მაგრამ ნაციონალური სიჭრელის სურათი სომხეთში ისეთივეა, როგორც სხვა რესპუბლიკებში. ეხლა ამხანაგებო თქვენთვის გასაგები იქნება თუ რა მძიმე მემკვიდრეობა მივიღეთ ჩვენ.

**საბჭოთა ხელისუფლებამ გადასწყვიტა ეროვნული საკითხი.**

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ გადასწყვიტა ეს მძიმე საკითხი.

მაგალითად, საქართველომ ეს საკითხი ასე გადასწყვიტა; აბხაზეთს, მიუხედავათ იმისა, რომ მოსახლეობის საერთო მასსაში აბხაზები შეადგენენ უმცირესობას, გადაწყვეტილი იყო, რომ არამც და არამც მისთვის არ მოეხვიათ ძალით საქართველოსთან ურთიერთობის ფორმა, არამედ მისცემოდა უფლება თითონ გამოერკვია თავისი ბედი. იმ აზრით რომ აბხაზებს განეკურნათ თავიანთი წყლულები, რომ მათ მოენელებინათ სიძულვილი საქართველოსადმი, რომელსაც ისინი იცნობდნენ მენშევიკების სახით, მათ მიენიჭა დამოუკიდებლობა, მაგრამ მალე თითონ აბხაზეთის მშრომელმა მასსებმა განაცხადეს სურვილი საბჭოთა საქართველოსთან ძმურ და მჭიდრო კავშირის დამყარებისა.

რაც შეეხება აჭარას,—ბათომის ოლქის ამ ნაწილს, რომელიც დასახლებულია მუსულმან ქართველებით, მიენიჭა უფართოესი ავტონომია, აჭარა, რომლის მიმხრობა ვერ მოახერხეს მენშევიკებმა; აჭარა, რომელიც მუდამ ანგორისკენ გაიყურებოდა, ეს აჭარა ეხლა შესისხლხორცებულია საქართველოს მუშებთან და გლეხებთან. იქ არავითარი აჯანყება არ ხდება საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ, და თუ იქ ამას წინათ აჯანყება იყო, ეს იყო აჯანყება თავისავე ბეგებისა და ხანების წინააღმდეგ. ეს თითქმის ფეოდალური აჭარა სდევნის თავის წრიდან ბეგებს და თავის ბედს თითონვე განაგებს. ამ ჟამათ არსებობს აჭარის მეჯლისი და აღმასრულებელი კომიტეტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკისა და სრულებით არავითარი უსიამოვნება და უთანხმოება ქართველებსა და აჭარლებს შორის აღარ არსებობს.

რაც შეეხება სამხრეთ ოსეთს, ეს ყველაზე მეტათ მტკივნეული ადგილია. ოსეთი, რომელსაც საკმაოთ ძლიერი ინტელიგენცია ჰყავს, რომელიც აქტიურათ, რამდენჯერმე იარაღით ხელში აჯანყდა მენშევიკების წინააღმდეგ, რომელიც განადგურებული და აოხრებული და ძალით განდევნილი იყო ჩრდილოეთ-კავკასიაში, ამ ოსეთის მოსახლეობა მაშინაც კი, როდესაც იქ აღდგენილ იქნა საბჭოთა ხელისუფლება, მაშინაც კი ისე ეკიდებოდა ქართველებს როგორც მტრებს და ქართველ მენშევიკს ვერ არჩევდა ბოლშევიკისგან. ეხლა კი, როდესაც ოსეთს მიენიჭა ავტონომია, მას არავითარი უთანხმოება აღარ აქვს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკასთან.

რაც შეეხება ახალციხის მუსულმანთა რაიონს, იქ დაარსებულ იქნა განსაკუთრებული ორგანო მუსულმანთა საქმეებისთვის. იქაც აღარ არსებობს არავითარი უთანხმოება.

ამნაირათ, ამიერ კავკასიის კომუნისტებს შეუძლიანთ ამაყათ თქვან, რომ ასეთი დახლართული ეროვნული საკითხი, როგორიც იყო საქართველოში, გადაწყვეტილია და მარჯვეთაცაა გადაწყვეტილი. რასაკვირველია, ცოტა რამ შეხლა-შემოხლა აუცილებელია,—ვის შეუძლიან ნახევარ წელიწადს, ერთ წელიწადს, ან გინდ ორ წელიწადს ბოლო მოუღოს იმ საშინელებას, რომელიც აქ სუფევდა.

ასევეა აზერბეიჯანში. ორი თვის შემდეგ აზერბეიჯანი იდღესასწაულებს საბჭოთა ხელისუფლების მეორე წლისთავს—და აბა მიჩვენონ გინდ ერთი შეტაკება მუსულმანებისა სომხებთან ეროვნულ ნიადაგზე. მართალია აზერბეიჯანში ჩვენ დიდხანს მოუნდით ყარაბაღის საკითხს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტეთ ყარაბაღის მოსახლეობისთვის—მთიან ყარაბაღის სომხებისთვის—ავტონომია მიგვენიჭებინა. ავტონომია აზერბეიჯნის საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში. ამ ავტონომიის პრაქტიკულათ ჩატარება მიენდო აზერბეიჯნის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. მე ვკითხე ამხ კიროვს, რატომ აქამდე ეს საქმე არაა განხორციელებული და მან მიპასუხა, სომხებიც და მუსულმანებიც თანახმანი არიან, რომ ეს ავტონომია საჭირო არაა. მე არ ვიცი, ასეა საქმე თუ არა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს საკითხი ისე დავაყენეთ, რომ მოსახლეობას თითონ შეუძლიან მისი გადაწყვეტა.

ფაქტი ფაქტათ რჩება და არავითარი შეტაკება, არავითარი შეხლა-შემოხლა იქ არ არსებობს, და ეს გარემოება გვიჩვენებს, რომ ჩვენ სწორეთ გადავწყვიტეთ ეროვნული საკითხი. არც ერთ გ[illegible] გადაუწყვეტია [illegible] ისეთის წარჩინებით, როგორც ჩვენში. ჩვენ ვგმობთ მეტად ხშირათ და სა[illegible] მართლიანათ ზოგიერთ ჩვენ ამხანაგებს, რომლებსაც ვამჩნევთ ეროვნულ მოდრეკილებას, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი რაიონების, ჩვენი განაპირა მხარეების შედარება მშვიდობიანობის დამყარების მხრივ არ შეიძლება არც ბაშკირეთთან, არც თურქესტანთან და არც ყირგიზეთთან.

ყარაბახის სამხრეთ ნაწილში არსებობს ავტონომიური ოლქი—ნახიჩევანი, სადაც წინათ მოსახლეობა უმოწყალოთ ჟლეტდა ერთმანეთს. ეხლა კი იქ, შეიძლება ითქვას, სრული ზავია დამყარებული. საქმე იქამდის მიდის, რომ სომხები და ნახიჩევნელები ერთმანეთს უყოფენ და აძლევენ ყველაფერს რაც აქვთ. ისე, მაგალითათ სომხებმა 20,000 მან. ოქროთი მისცეს ნახიჩევნელებს, რომ მათ შეიძლონ თესლის ყიდვა და თავიანთ ნახნავების დათესვა, და საერთოდ ყოველ-ნაირათ ეხმარებიან მათ.

ასევე თავიანთ მხრივ იქცევიან ნახიჩევნელებიც. ასე, მაგალითათ, ამას წინათ მათ მთელი მარილის მაღაროები დაუთმეს სომხეთს მოსახმარებლათ. ამ მხრივ ჩვენ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ თითონ რესპუბლიკების შიგნით საქმე ურიგოთ არ მიდის. მაგრამ რასაკვირველია, იმის თქმა არ შეიძლება რომ ყველაფერი გაკეთებული იყოს, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ ძირითადი საქმე უკვე გაკეთებულია.

(დასასრული იქნება)

# პროფკავშირთა წითელ ინტერ. საბჭოს სესია

**მოსკოვი,** 20 თებ. (რადიო). 18 თებერვალს გაიხსნა მორიგი სესია პროფკავშირთა წითელ ინტერნაციონალისა. სხდომებს, რუსეთს გარდა ესწრება წარმომადგენლები: ავსტრიის, ინგლისის, ავსტრალიის, ბულგარეთის, გერმანიის ჰოლანდიის, დანიის, შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის, იტალიის, ლიუქსემბურგის, ლიტვის, ნორვეგიის, პოლონეთის, კორეის, ჩეხო-სლოვაკიის, იაპონიის და საფრანგეთის. პირველი სხდომა დაიწყო პროფინტერნის გენერალურ მდივნის მოხსენებით. თავის მოხსენებაში, ამხ. ლოზოვსკი ვრცლად შეეხო პროფინტერნის აღმასრულებელ ბიუროს მუშაობის ყველა მომენტებს, პროფკავშირთა პირველ ყრილობის დროიდან განვლილ ნახევარ წლის განმავლობაში. აღმასრულებელ ბიუროს მთავარი მიზანს შეიცავდა, კაპიტალთან პრაქტიკულ ბრძოლის გირშემო ყველა ჭეშმარიტ რევოლიუციონურ პროლეტარულ ძალების. გაერთიანებას.

პროფინტერნის აღმასრულებელ ბიუროს სწორ ტაქტიკამ ამ საკითხში მიგვიყვანა იქამდის, რომ რევოლიუციონურ სინდიკალისტებმა უარი განაცხადეს ანარხო სინდიკალისტებთან მუშაობაზე. საქმე მივიდა იტალიაში სრულ გამოყოფამდის, და ისპანიაში რევოლიუციონურ ტენდენციის გამარჯვებამდის, და მეტწილად საფრანგეთშიაც მხოლოდ გერმანიის სინდიკალისტები აგრძელებენ ჯიუტობას, მაგრამ ისინი საბოლოოდ გამოირკვნენ, როგორც ტოლსტოვ-პაციფისტური ორგანიზაცია. არავინ არ მიაქცია მათ სერიოზული ყურადღება. რეფორმისტების წინააღმდეგ მედგარი ბრძოლა წარმოებდა და იწარმოებს, დაცემის ინიციატივა რეფორმისტების ხელშია; წითელი პროფკავშირები მხოლოდ იგერიებენ რეფორმისტების მიერ შემოტანილ გახრწნილებას მუშათა კლასის რიგებში. საერთო ფრონტის წინადადებაზე რეფორმისტებმა: საფრანგეთის, გერმანიის იტალიის და შეერთებულ შტატების—უპასუხეს კომიტეტების მიმართ რეპრესიებით. მაგრამ პროლეტარიატმა იპოვა გზა ეპასუხნა ამაზე; შვეიცარიაში რევოლიუციონურ ფედერაციაშ მშენებელ მუშებისამ თავის რიგებში მიიღეს ლითონზე მომუშავენი და აღჭურვეს სრული უფლებით თავისი წევრებისა. ობიექტიური პირობები და უბადრუკი ტაქტიკა ოფიციალურ წინამძღოლებისა უფრო და უფრო აახლოვებს მასსებს წითელ პროფკავშირებთან. (ბოლო არაა მიღებული).

# რუსეთის პროფ. ცენტრალურ საბჭოს პლენუმი

**მოსკოვი.** 20 თებერვალი. რადიო. 16 თებერვალს დაიწყო თავისი მუშაობა სრულ. რუს. პროფკავშირების ცენტრ. საბ. პლენუმმა, ადგილობრივ პროფორგანოების მონაწილეობით. პირველ სხდომაზე ანგარიშით რუს. პროფკ. ცენტრ. საბჭ. პრეზიდიუმის მოღვაწეობის შესახებ გამოვიდა ამხ. რუდზუტაკი. მომხსენებელმა გააცნო პლენუმი პრეზიდიუმის საორგანიზაციო წარმოებას. შეცვლილმა ეკონომიურ ვითარებამ, მომხსენებელის სიტყვით, დაუყენა კავშირს მთელი რიგი ახალ ამოცანებისა; დაწყებულ უმუშევრობამ დააყენა ასეთი ფორმები საკავშირო მუშაობისა; როგორიცაა ურთიერთ-დამხმარე კასების საკითხი, უმუშევრობისგან დაზღვევა და სხვ მომხსენებელმა შემდეგ მოიყვანა ცნობები კავშირის წევრთა საერთო რიცხვის შემცირებისა: 32 გუბერნიაში, 1921 წლის მესამე მეოთხედში, პროფკავშირების წევრების საერთო მასსა შემცირდა 10 პროც. მეორე მეოთხედთან შედარებით, უკანასკნელ მეოთხედში კი შემცირდა 17 პროც.-ით, 1922 წ. დასაწყისს კავშირებში ირიცხებოდა 6.900.000 კაცი. სატარიფო პოლიტიკის ცვლილებას ამხ. რუდზუტაკი ახასიათებს, როგორც გადასვლას სახელმწიფოებრივ მოწესრიგებიდან სამუშაო ხელფასის მოწესრიგებაზე. აღნიშნა რა მნიშვნელოვანი მუშაობა კავშირებისა სასურსათო მობილიზაციასთან დაკავშირებით, მომხსენებელი აცნობს პლენუმს კავშირების სახელმწიფო სასურსათო ორგანოების მუშაობაში მონაწილეობას. დასასრულ, მომხსენებელი იძლევა ცნობებს სრულ. რ. ცენტრ. პროფსაბჭ. განყოფილებების მუშაობაზე: შრომის დაცვისა, კულტურულ-განმანათლებელის, და სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილებებისა.

# გენუას კონფერენციისათვის

**კონფერენციის გადადებისათვის.**

**მოსკოვი.** 18 თებერვალი. (რადიო). გაზეთ „დეილი ქრონიკელის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ სხვა და სხვა კომერციულ და ფინანსიურ ორგანიზაციების სავაჭრო პალატები ენერგიულად მოითხოვენ ამერიკისაგან მის მიერ გენუის კონფერენციაში მონაწილეობის მიღებას, იმ დროს, როდესაც შრომის ფედერაცია და ამერიკის სენატორთა ჯგუფი მხარს უჭერენ საფრანგეთის კონფერენციისადმი უარყოფით დამოკიდებულებას.

„ტაიმსის“ „მორნინგ-პოსტის“ და „დეილ ტელეგრაფის“ პარიზელი კორესპონდენტების ცნობით, ის კამპანია, რომელსაც საფრანგეთი აწარმოებს კონფერენციის გადადების სასარგებლოდ, გრძელდება შეუსუსტებელი ენერგიით. პარიზში ვრცელდება ხმები, რომ ბრიტანიის მთავრობაც აგრეთვე იგვიანებს გამოარკვიოს თავის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. ამასთანავე უთითებენ ბრიტანიის წრეებიდან გამოსულ ცნობებზე, რომ ინგლისს მოუხდება დასთანხმდეს კონფერენციის გადადებაზე, იმ შემთხვევაში, თუ წინადადება ამის შესახებ იქნება იტალიის მხრივ, რადგანაც იგი არის ის ქვეყანა, რომელიც აწარმოებდა მოწვევას.

იტალიის პარლამენტარული წრეები აღიარებენ, რომ კონფერენციის გადადება შექმნილ მდგომარეობათა გამო აუცილებელია. ბონომის კაბი-

ნეტი ძველი შემადგენლობით იარსებებს არა უმეტეს 2 დღისა, იგი გამზადებულია დასაღუპად. ახალი კაბინეტის შექმნა რამოდენიმე დღეს მოითხოვს. ახალი კაბინეტი ვერ შესძლებს მიიღოს მონაწილეობა კონფერენციაში მაშინვე თავის შედგენის შემდეგ.

ამ მოსაზრებათა მიხედვით, იტალიის მთავრობა იძულებული იქნება მოითხოვოს კონფერენციის მოკლე ვადით გადადება.

ლონდონიდან 15 თებერვლის თარიღით იტყობინებიან: ბრიტანიის მთავრობის საფრანგეთისადმი მიცემული წინადადება ექსპერტების კონფერენციის მოწვევის შესახებ შეიქნა საფრანგეთისა და ინგლისის შორის უთანხმოების ახალ საბაბად. ფრანგები მოითხოვდენ ამ კონფერენციის პარიზში მოწვევას, და აძლევენ მას წინასწარ თათბირის ხასიათს, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს კანში აღძრული საკითხები. ბრიტანიის ოფიციალურ ცნობით, ინგლისის პოზიცია კონფერენციის გადადების საკითხში უცვლელი რჩება. გენუის კონფერენციის მომწყობი გენერალური სეკრეტარიატი, ღებულობს ზომებს პროგრამის დასამუშავებლად. სეკრეტარიატი დაამთავრებს მუშაობას 8 მარტს.

„მატენის“ ცნობით ბრიტანიის მთავრობა ფორმალურად დაადასტურებს რომ გენუაში არ იქნება აღძრული საკითხი ხელშეკრულებათა გადასინჯვის შესახებ.

ვაშინგტონიდან მოსულ ცნობით, საბოლოვო გადაწყვეტილება ამერიკის მიერ კონფერენციაში მონაწილეობის მიღების შესახებ, მიღებულ იქნება ამერიკის მთავრობის მიერ მას შემდეგ, როდესაც მოკავშირეები გადაწყვეტენ კონფერენციის გადადების საკითხს.

**რუსეთის მონაწილეობისათვის.**

გაზეთი „ტანი“ 10 თებერვლის წერილს უძღვნის გენუის კონფერენციაზე რუსეთის მონაწილეობის საკითხს, სადაც აღნიშნავს შემდეგს. საფრანგეთის პოზიცია ცხადია. საფრანგეთის მთავრობამ დიდიხანია განაცხადა, რომ იგი არ უშლის თავის მოქალაქეებს იქონიონ რუსეთთან ეკონომიური დამოკიდებულება. საბჭოთა მთავრობამ მიიღო გენუის კონფერენციაზე მიწვევის ცნობა, მაშასადამე, გენუაში მოგვიხდება ვილაპარაკოთ გულახდილად კანის რეზოლიუციების პრინციპების პრაქტიკულად განხორციელების შესახებ. საფრანგეთის ეროვნული ინტერესები უფრო ხვდებიან რუსეთის მატერიალურ ინტერესებს, ვინემ სხვა სახელმწიფოებისას. ამიტომ ჩვენ უნდა განვიხილოთ საკითხები სრულიად, და დავაყენოთ იგი უფლებისა და რეალობის ნიადაგზე, რომლებიც ხელს შეუწყობენ რუსეთის აღორძინებას.

**არა რვას, არამედ თვრამეტ მარტს**

**ნაუენი**, 14 თებერვალი (რადიო). იტალიის მთავრობამ აცნობა ლორდ კერზონს, რომ იგი თანახმაა გახსნას გენუის კონფერენცია არა 8, არამედ 18 მარტს.

**სამზადისი მუშაობა**

**ბორდო**, 17 თებერვალი (რადიო). საფრანგეთის საერთაშორისო გენუის კონფერენციის პროგრამის გამომუშავებული კომისია, შეუდგა მუშაობას ოთხშაბათს სეიდის თავმჯდომარეობით. პირველ სხდომაზე გამოიმუშავეს მუშაობის გეგმა. გადაწყვეტილია აირჩიონ ქვე-კომისიები სპეციალობის მიხედვით, ეკონომიურ, ფინანსიურ და ტეხნიკურ საკითხების განსახილველად. ქვე-კომისიები იმუშავებენ ფინანსთა და საზოგადოებრივი სამუშაოს სამინისტროებთან.

**პუანკარე იქნება გენუაში**

**პარიჟი** 17 თებერვალი (რადიო) სარწმუნო წყაროებიდან ირკვევა, რომ პუანკარე პირადად მიიღებს მონაწილეობას გენუის კონფერენციაში. ყოველ შემთხვევაში პირველ სხდომებზე იგი უსათუოდ დაესწრება.

**გერმანელები გენუაში**

**განოვერი**. 16 თებერვალი (რადიო) „დეიტშე ალგემაინე ცაიტუნგი“ ეხება რა გერმანიის ტაქტიკას, რომელსაც იგი დაიჭერს გენუის კონფერენციაზე ამბობს: ყველა პარტიულმა და პოლიტიკურმა ჯგუფებმა გარკვევით უნდა შეიგნონ, რომ გენუის კონფერენციაზე საქმე მიდის არა პირად და პარტიულ ინტერესებზე, არამედ იმაზე, რომ მჭიდრო ფრონტით დავიცვათ ეროვნული ინტერესები.

ლის მონაწილეობას უცხოელთა წარმოებებში საკითხის მნიშვნელოვანობის გამო, იგი განსახილველად გადაეცემა ახლო მომავალში საკონტრიბუციო კომისიას.

### იტალია.

**მთავრობის კრიზისი.**

**რომი**. 17 თებერვალი, რადიო. იტალიის დეპ. საგ. დეპუტატთა პალატის მორიგ სესიის პირველ სხდომაზე, ბონოში გამოვიდა ვრცელ დეკლარაციით, რომელშიაც განმარტა მთავრობის გადადგომის მიზეზები და დაასურათა მთავრობის, მისი 7· თვის არსებობის მოღვაწეობის ეტაპები. ბონომიმ განაცხადა, რომ იტალიის ფინანსიური ეკონომიური მდგომარეობა იჩენს ტენდენციას გაუმჯობესებისკენ. ბანკის კრიზისთან დაკავშირებულ საკითხის მოწესრიგებისთვის მუშაობა სრულდება. დასასრულ ბონომიმ აღნიშნა იტალიის მთავრობის წარმომადგენლების მოღვაწეობა ვაშინგტონის და კანის კონფერენციაზე.

**ბორდო**. 18 თებერვალი, რადიო. რომის ცნობიდან, ბონომის მხარს უჭერენ მხოლოდ რეფორმისტული და სახალხო გაზეთები. უმრავლესობა, ყოველ შემთხვევაში ბონომის არ უჭერს მხარს, და თუ მას მაინც გამოეცხადა ნდობა დეპუტატთა პალატაში, მხოლოდ ფრიად ბნელ და მერყევ უმრავლესობის მიერ. შესაძლებელია, რომ უკანასკნელ წამს ბონომი უარს განაცხადებს მთავრობის შედგენაზე და ასეთი გადაეცემა ჯიოლიტის.

**რომი**. 18 თებერვალი, რადიო. დეპუტატ რიჩჩიომ წინადადება მისცა სხვა და სხვა პარტიებს მათი წარმომადგენლების სახით, რომ მათ პარლამენტის ტრიბუნიდან გამოარკვიონ მოტივები თავის ოპოზიციისა ბონომის მთავრობისადმი.

**რომი**. 18 თებერვალი. რადიო. იტალიის მთავრობამ ერთხმათ მოიწონა დეკლარაციის პროექტი, მის პარლამენტში და სენატში გამოსაქვეყნებლად.

**ბონომის მდგომარეობა.**

**მოსკოვი**. 19 თებერვალი, რადიო. ბონომის პირველი გამოსვლას პარლამენტში შეხვდენ ლმობიერად. ტაში დაუკრეს მხოლოდ კათოლიკური და რეფორმისტული პარტიების წარმომადგენლებმა. დანარჩენები ოპოზიციაში იყვნენ.

### გერმანია.

**გერმანიის გადასახადი.**

**მოსკოვი**. 19 თებერვალი, რადიო. 17 თებ. ბორდოდან მოსული ცნობით, გერმანიის მთავრობამ აცნობა სეპარატიულ კომისიას, რომ კანის კონფერენციის დადგენილების თანახმად, მის მიერ შეტანილია ახალი მორიგი გადასახადი 31 მილ. მარკა ოქროთი.

**გერმანიის რკინის გზებზე.**

**ბერლინი**. 18 თებერვალი, რადიო. რკინის გზელთა სინდიკატის გამგეთა კომიტეტი შეუდგა ყოფილ გაფიცვის შედეგების სასწრაფო განხილვას. აგრეთვე განიხილება ზომები აგრეთვე ახალ გაფიცვის შემთხვევისათვის.

ჯერ არავითარი გადაწყვეტილება არაა მიღებული.

**გერმანიის ბიუჯეტი.**

**ნაუენი**. 19 თებერვალი. რადიო. გეტმანიის მთავრობა აპირებს რკინის გზის ტარიფის 10 პროც. გადიდებას საქონელზე. 1-ლ მარტის შემდეგ დადგენილია რკინის გზებზე მუშათა და მოსამსახურეთა შტატების შემცირება დაახლოვებით 20,000 კაცით. ეს ზომები გამოწვეულთა სახელმწიფო გასავლის შემცირების მიზნით.

### ინგლის-ირლანდიის დამოკიდებულებანი.

**მოსკოვი**. 19 თებერვალი, რადიო. 17 თებერვალს ლიფირდიდან მოსულ ცნობით, თემთა პალატამ მიიღო ბილლი, რომელიც ანხორციელებს სამხრეთ-ირლანდიის ძალა-უფლების გადაცემას სინფეინერთა დროებითი მთავრობის ხელში.

### ამერიკა.

**ვაშინგტონის კონფერენციის შემდეგ.**

**მოსკოვი**. 19 თებერვალი, რადიო. პოლიდიუდან მიღებული ცნობით, ამერიკის საზღვაო საქმეთა სტატს-სეკრეტარ დენბიმ განაცხადა, რომ ამერიკის ფლოტის პირვანდელი მომავლის ხარჯთ-აღრიცხვა შემცირებულია 350 დან 128 მილიონ დოლარამდე. ახალის ასაშენებლად ხარჯი შემცირებული 90-დან 40 მილ. დოლარამდე. ამას გარდა დენბიმ გამოსთქვა აზრი ფლოტის პირადი შემადგენლობის 10,000 მდე დაყვანაზე.

ნაუენიდან მიღებული ცნობით, შეერთებულ შტატების სენატორთა კომისიამ გადასდო თავისი გადაწყვეტილება 5-თა სახელმწიფოების წყნარ ოკეანეზე მოლაპარაკების შესახებ. სენატორთა ოპოზიციის მიზეზია მოლაპარაკების ძალით დაკისრებული ვალდებულებანი შეერთებულ შტატებზე.

**ამერიკა გაფიცვების წინაშე.**

**მოსკოვი**. 19 თებერვალი, რადიო. პოლდიუდან მიღებული ცნობით, უნდა გამოირკვეს გახდებიან თუ არა შეერთებული შტატები უდიდეს გაფიცვების ასპარეზად მთელ მსოფლიოში. ამ გაფიცვებში მონაწილეობა უნდა მიიღონ 5 მილ. მემაღაროებმა რომელიც მოითხოვენ სამუშაო ქირის 10 პროცენტით გადიდებას. დაწყებულია მოლაპარაკება რკინის გზელთა კავშირებთან მემაღაროების გაფიცვის მხარის დაჭერაზე.

### ინგლისი და ინდოეთი.

**მოსკოვი**. 19 თებერვალი, რადიო. ლიფილდიდან მოსული ცნობით, ლოიდ-ჯორჯმა ინდოეთისადმი მიძღვნილ სიტყვაში, აღნიშნა ინდოეთში და სხვა ადგილებში წარმოებულ ბოროტგანზრახული პროპაგანდა, რომლითაც ვრცელდება ხმები ვითომ ინგლისს განზრახული აქვს ინდოეთზე ხელი აიღოს. „მისი დიდებულების, მთავრობის სახელით“, განაცხადა პრემიერ-მინისტრმა, „მე ვამტკიცებ, რომ არას შემთხვევაში ჩვენ არ დავეთანხმებით მეფე-იმპერატორს ინდოეთზე უზენაესი უფლებების არამც თუ უარის თქმაზე, ამ უფლებების რაიმე მცირე აღკვეცაზედაც კი“.

### სამხრეთ აფრიკაში.

**ბერლინი**. 15 თებერვალი. რადიო. იოგანესბურგში ათასმა მემაღაროე მუშამ განაახლა მუშაობა. ფარტსბურგში მოხდა მუშების არეულობა. დააპატიმრეს 40 მკვიდრი და ევროპიული მუშა.

### ინდოეთი აფეთქების წინაა.

**ნაუენი**. 15 თებერვალი. რადიო. მდგომარეობა მადრასში იმდენათ სერიოზულია, რომ ყველა ევროპიელი შეიარაღებულია. აფეთქებას ყოველ ჟამს მოელიან.

## საბჭოთა არჩევნები საქართველოში

**ოზურგეთის მაზრა.**

ოზურგეთის სამაზრო საარჩევნო კომისია მაზრაში არჩევნების მიმდინარეობის შესახებ შემდეგ ცნობას აწვდის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

პროლეტარული რევოლიუციის მტრები საბოლოოდ დამარცხდნენ. მშრომელი ხალხის მოღალატე მენშევიკების პროვოკაციამ არ გასჭრა გურიის მშრომელმა ხალხმა საბჭოები აირჩია. არჩევნები დამთავრდა ყველა თემში. დეპუტატების დიდი უმრავლესობა კომუნისტებია. ოთხშაბათს 15 თებერვალს, არჩევნები მოხდება ოზურგეთის თემში. პარასკევს, 17 თებერვალს, დანიშნულია არჩევნები თვით ქალაქ ოზურგეთში. საბჭოების სამაზრო ყრილობა გაიხსნება 20 თებერვალს ქ. ოზურგეთში.

**ახალქალაქის მაზრა.**

ახალქალაქის სამაზრო საარჩევნო კომისია დეპეშით ატყობინებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომ იქ საბჭოთა სამაზრო ყრილობა მოუწვევიათ 5 თებერვალს და დაუსრულებიათ 9 თებერვალს. ამოურჩევიათ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი 15 კაცისაგან. ამოურჩევიათ აგრეთვე 8 დელეგატი სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობაზე დასასწრებლად.

## სასურსათო გადასახადის კამპანიის მსვლელობა

**სასურსათო გადასახადით შემოსავალი**

სასურსათო სახ. კომისარიატის ცნობებით კამპანიის დაწყების დღიდან 18 თებერვლამდე მოკრებილია: პური—მარცვალი—24,480 ფუთი 36 გ., კარტოფილი—12,504 ფ 32 გ., სხვა ბოსტნეული და ხილი—1,804 ფ. 04 გ., ერბო—63 ფ. 20 გ., ზეთი—20 ფ, ყველი—120 ფ. 29 გ, ხორცი—376 ფ. 15 გ., მატყლი—63 ფ 37 გირ.

საფქვავზე გადასახადი შემოვიდა იმავე რიცხვისთვის პური მარცვალი—1,134 ფ. 10 გ.

**ადგილებზე.**

**თიანეთის მაზრა.**

უკანასკნელ კვირეულის (8—15 თებერვალს) დროს შესამჩნევათ იმატა პურის მოკრებამ. კამპანიის დაწყებიდან (იანვრის ნახევარი) 1160 ფუთი პური—მარცვლიდან, 821 ფ. ხვდება 8—15 თებერვლის კვირეულს. დღემდე მაზრამ შეასრულა მხოლოთ დაკვეთილის 5 პროცენტი მეცადინეობა. უნდა გაათკეცდეს, უკანაკნელ დღეებში მიღწეულ წარჩინება უნდა შეუჩერებლივ იზარდოს, თორემ უამისოთ თიანეთის მაზრა ვერ შეასრულებს თავის ამოცანას.

**ახალციხის მაზრა.**

უკანასკნელი ცნობიდან ჩანს, რომ ახალციხის მაზრაში სასურსათო გადასახადის კამპანია, ცოტა არ იყოს, გამოკეთებულა. 15 თებერვლისთვის შესრულებულია 30 პროცენტი დაკვეთილისა, როგორც მარცვლის, ისე კარტოფილის გადასახადისა. მოკრებილია. მარცვალი—6472 ფ. (დანიშნულია—22106 ფ.), კარტოფილი—7030 ფ. (დანიშნულია - 23,895 ფ.) შეუდგნენ ხორცის მოკრებას.

## ტრანსპორტის მდგომარეობა*)

ვისთვის არ არის აშკარა, რომ ტრანსპორტი დედა ძარღვია ჩვენი ეკონომიური აღორძინებისა, რომ ტრანსპორტი დამშეულთა პირველი დამხმარე ძალაა და ხოლო ამ ძარღვში ვერ ზჩქეფს დღეს ჯანმრთელი სისხლი.

საშიშროება, რომელიც ჩვენ მოგველის ძალიან დიდია, ტრანსპორტის აღდგენა უნდა გახდეს ჩვენი ყურადღების ცენტრათ. ეხლავე უნდა მივიღოთ ენერგიული ზომები, რათა მოვიშოროთ სასიკვდილო ბაწარი, რომელიც მზათაა მოებას ყელზე მუშურ-გლეხურ საქართველოს.

შპალების უქონლობის გამო მეტათ ცუდ მდგომარეობაშია ისეთი მნიშვნელოვანი შტოები, როგორიც არის კახეთის და ტყიბულის. ამ შტოების მოძრაობის შეჩერება იმუქრება დამშეულთათვის დახმარების შეწყვეტით.

მთავარი მაგისტრალი დაყრდნობილია ხელმეორეთ გადაკერვაზე, მაგრამ ეს წამლობა დიდხანს არ უშველის და თუ არ მოხდა მიჯრით შპალების გამოცვლა, მოძრაობა შეჩერდება. თუმცა ძალიან ბევს გაჰკივიან სატყეო და რკინის გზის კომიტეტები, რომ მათ თითქმის შესძლეს ამ ამოცანის გადაწყვეტა და რომ მათ აქვთ დამზადებული საკმაო რაოდენობა შპალებისა, მაგრამ სადაა ყოველივე ეს? იქნებ იგინი ფიქრობენ, შპალების დამზადება იმას ჰქვია, რომ ლამაზ ხელშეკრულებას სდებენ იმ პირებთან, რომლებსაც ორგანიულათ ვერ მოუნელებიათ საბჭოთა მთავრობა და, ღებულობენ რა ტომრებით ფულს, შეგნებულათ ამა თუ იმ მიზეზით აგვიანებენ ხელშეკრულების სისრულეში მოყვანას და თავიანთი უმგვანო მუშაობით მოაქვთ ზარალი არა მარტო რკინის გზისათვის, არამედ ტყეებისათვის, სადაც მხოლოდ ჩა-

*) სადისკუსიო.

## კაპიტალიზმის სამეფოებში

### უმუშევართა დემონსტრაცია ლონდონში

**მოსკოვი**. 18 თებერ. (რადიო). 16 თებერვალს ლონდონში მოხდა უმუშევართა გრანდიოზული დემონსტრაცია. დემონსტრანტები სატახტო ქალაქის ყოველ კუთხიდან გაემართენ ტემზის ნაპირისაკენ.

### რკინისგზელთა გაფიცვის გამო გერმანიაში

**მოსკოვი**. 18 თებ. (რადიო). ბერლინიდან დეპეშით იტყობინებიან: „ბერლინერ ტაგებლატ“-ის ცნობით, რკინისგზელთა კავშირმა 16 თებერვალს დაადგინა გამოაცხადოს ახალი გაფიცვა, იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა განაგრძობს გაფიცვებში მონაწილეთა მიმართ დისციპლინარულ ზომების ხმარებას.

### საკონტრიბუციო პრობლემა.

**ნაუენი** 19 თებერვალი, რადიო. დეპუტატთა პალატაში პუანკარემ განაცხადა, რომ საფრანგეთმა, მოკავშირეებთან შეთანხმებით, საკონტრიბუციო საკითხი გადასცა მოკავშირეთა საკონტრიბუციო კომისიას.

**ლონდონი**. 18 თებერვალი, რადიო. ბრიტანეთის ხაზინის კანცლერმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ ამხანათ საკონტრიბუციო კომისია უძლურია წინაღუდგეს გერმანულ კაპიტა-

## ჩვენი საგარეო ვაჭრობა

(იხ. „კომუნისტი“ № 33)

მთავარი საკითხი საქართველოს საგარეო ვაჭრობაში არის, რა საქონელი შემოდის უცხოეთიდან და რა საქონელი გადის, ესე იგი რა საქონლის მოთხოვნილება არის საქართველოში, რა მოთხოვნილებას ურდგენს იგი ევროპის ბაზარს. ყველასათვის ცხადია, რომ მოთხოვნილება ჩვენი ბაზრის განსაზღვრავს სხვა და სხვა საქონლის შემოზიდვის რაოდენობას. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ საკითხის გამორკვევას არა მარტო საგარეო სავაჭრო ბალანსისათვის, არამედ მთელი ეკონომიური პოლიტიკისათვის, კერძოთ საბაჟო პოლიტიკის წარმოებისათვის.

რა შემოდის უცხოეთიდან? პირველი ადგილი საქართველოში შემოზიდულ საქონელთა შორის უკავია სურსათ-სანოვაგეს, საერთოდ საარსებო საგნებს. 1918 წ. შემოზიდვა დაიწყო მეორე ნახევარში, მაშასადამე ამ ნახევარ წელს არა აქვს დიდი მაჩვენებელი ხასიათი, მაგრამ მაინც ამ ხნის განმავლობაში შემოზიდული სურსათ-სანოვაგე ანუ საარსებო საგნები შეადგენენ 69,5 პროც.; 1919 წ. მთელი წლის განმავლობაში 58,6 პროც. შემდეგი ადგილი უჭირავს ნედლს და ნახევრათ დამუშავებულ მასალას.

1918 წ.—შემოზიდული იყო 18,1 პროც., 1919 წ.—31,5 პროც. მესამე ადგილზე სდგას ფაბრიკატების ანუ მრეწველობის ნაწარმოების შემოზიდვა.

ჩვენი საგარეო სავაჭრო ბალანსი შემოზიდული საქონლის მიხედვით გვიჩვენებს, რომ საგარეო ვაჭრობა უმთავრესათ ეხმარება მოხმარების საქმეს. უდიდესი ნაწილი შემოზიდული საქონლის 1918 წ. მეორე ნახევარში და 1919 წ. შეადგენს სასურსათო საგნებს, მცირე ნაწილი ეკუთვნის ნედლ და ნახევრათ დამუშავებული საქონელს.

რა საქონელი შემოდის საქართველოში? ყველაზე მეტი შემოდის ფქვილი—19,4 პროც. მთელი შემოზიდული სასურსათო საგნების, თევზი—12,1 პროც., მარილი—11,1 პროც. და ნედლი ხილი—10,7 პროც. ამ ცნობებიდან სჩანს, რომ საქართველოს არა აქვს საკმარისი რაოდენობა სოფლის მეურნეობის ნაწარმოებისა. საქართველოს არა აქვს საკუთარი პური; პური უნდა იქნეს შემოზიდული უცხოეთიდან. ასეთი არის დღევანდელი მდგომარეობა ჩამორჩენილი, დაქვეითებული სოფლის მეურნეობის. არის ამ მდგომარეობიდან რაიმე გამოსავალი, შეიძლება თუ არა სავაჭროს. ბალანსის ამ მუხლის გამოსწორება. ვისაც წარმოდგენილი აქვს ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობები, მისი მდიდარეობა და შესაძლებლობა, ის უეჭველად თანახმა იქნება იმისა, რომ საქართველოს სრული შესაძლებლობა აქვს საკუთარი პურით თავი შეინახოს, ჩვენ რომ შევძლოთ ჩვენი ჭაობების ამოშრობა, ადგილების მორწყვა, მოსავლიანობას გადიდება (დღევანდელ პირობებში დესიატინა იძლევა 50—60 ფუთს, ეს რაოდენობა მოსავლის რომ გაორკეცდეს საქართველოს მოთხოვნილება იქნება არა მარტო დაკმაყოფილებული, არამედ ზედ მეტიც დარჩება). ჩვენ ოცნებებს ვერ მივეცემით, ოცნებით გატაცება საქმიანობა არ არის. საგარეო სავაჭრო ბალანსი გვიკარნახებს სამეურნეო პოლიტიკას, რაც უნდა გამოიხატოს სოფლის მეურნეობის გაძლიერებაში; ვიდრე ეს არ მოხდება ჩვენი საგარეო სავაჭრო ბალანსი აუცილებლათ საზარალო იქნება. მთელი ჩვენი გამჭრიახობა, ჩვენი ხელისუფლების მთელი ენერგია უნდა იქნეს მიმართული სოფლის მეურნეობისაკენ: სასოფლო სამეურნეო იარაღების შემოღება, თესლეულობის შერჩევა, მელიორაცია—აი უმთავრესი საქმე, რომელიც დაუყონებლივ უნდა იქნეს შესრულებული. საარსებო საგნებში, რომელიც საქართველოს საზღვრებ გარეთიდან შემოდის არის თევზეულობა. მეთევზეობა არის დიდი დარგი მეურნეობის, რომელსაც მოწყობა და მოგვარება უნდა. ამ საქმისათვის დღემდე არავის არ მიუქცევია ყურადღება. მეთევზეობათ არ შეიძლება ჩაითვალოს ის ყაჩაღური წარმოება, რომელიც დღემდე ხდებოდა. ეს დარგი მეურნეობის სავსებით სახელმწიფომ უნდა აიღოს ხელში.

მეთევზეობითაც არ განისაზღვრება ჩვენი მოხმარების საქმის მოგვარება. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ მესაქონლეობაზედ, რომელიც დღეს სრულიად უმწეო მდგომარეობაში არის. პირდაპირ საარაკო არის კიდევ ერთი მუხლი საგარეო სავაჭრო ბალანსის: საქართველოში შემოდის ნედლი ხილი. შემოზიდული ნედლი ხილის რაოდენობა უდრის 10,7 პროც. მთელი შემოზიდული საქონლის რაოდენობის.

საქართველოს ხილი უნდა გაქონდეს, მას კი შემოაქვს!

საგარეო სავაჭრო ბალანსი საუკეთესო დამახასიათებელი არის ჩვენი მეურნეობის მდგომარეობის, ის ჩვენთვის ძლიერ საზარალოა. განსაკუთრებული ზომებია საჭირო, თორემ ჩვენ ვერასოდეს ვერ დავაღწევთ თავს ბალანსის ზარალს. საგარეო სავაჭრო ბალანსის ზარალი კი პირდაპირ გავლენას ახდენს მთელ ეკონომიურ პოლიტიკაზედ, ფულის ტრიალზედ, ფულის ღირებულებაზედ.

ნედლი და ნახევრათ დამუშავებულ მასალიდან, რომელიც უცხოეთიდან შემოვიდა საქართველოში 1919 წ. თითქმის ორი მესამედი შემოზიდული საქონლიდან ეკუთვნის ნავთს და ნავთის ნაწარმოებს, რომელიც შეადგენს 62,3 პროც. ეს არის შემოზიდვა სათბობი მასალის. საქართველოს ნავთი არა აქვს, მაგრამ სათბობი მასალა, ნახშირი აქვს, აქვს დიდი სიმდიდრე თეთრი ნახშირი. როგორც მეურნეობის სხვა დარგები, მეურნეობის ეს დარგიც ისეთ მდგომარეობაში არის, რომ საკუთარი სათბობი მასალა არ ყოფნის არა იმიტომ, რომ ის არ მოიპოვება საკმაოთ, არამედ მეურნეობა არ არის იმ დონეზედ, რომ შინაური მოთხოვნილება იქნეს დაკმაყოფილებული. ფაბრიკატებიდა ნაწარმოები, რომელიც საქართველოში შემოდის უმთავრესათ არის: ქაღალდი 23,7 პროც. და სხვა და სხვა გვარი ქსოვილები. 14,6 პროც.

შემომტან სახელმწიფოებთა შორის ასე არის განაწილებული საქონლის რაოდენობა და ღირებულება პროც.

| სახელმწიფო | რაოდენობა წონით | ღირებულებით |
|---|---|---|
| აზერბეიჯანი | 547 | 35,6 |
| სომხეთი | 11,9 | 17,8 |
| რუსეთი | 8,9 | 9,1 |
| ოსმალეთი | 0,6 | 1,8 |
| ამერიკა | 1,6 | 0,1 |
| ინგლისი | 10,2 | 0,4 |
| იტალია | 0,8 | 2,6 |
| საფრანგეთი | 0,05 | 0,4 |

საქართველოს საგარეო ვაჭრობა სწარმოებს სხვა და სხვა სახელმწიფოებთან. ერთი წლის ცნობები არ არის საკმაო ზოგადი დასკვნისათვის, ერთი წლის გამოცდილება მცირეა. მაგრამ ერთი საყურადღებო მოვლენა ალსანიშნავი არის.

ევროპასთან საქართველოს ვაჭრობა მცირეა. ევროპიდან შემოზიდული რაოდენობა საქონლის მცირეა. შემოზიდული საქონლის ღირებულებას არა აქვს მაჩვენებელი მნიშვნელობა რადგან საქართველოს ფულის ღირებულება, ძლიერ ცვალებადია, დიდის სისწრაფით იცვლება. აზერბეიჯანიდან და სომხეთიდან შემოსული საქონელი გაცილებით მეტია, ვიდრე ევროპის სახელმწიფოებიდან, მაშასადამე გეოგრაფიულად, ეკონომიურად ამ ორ რესპუბლიკებთან კავშირი საქართველოსათვის ყოველნაირად მისაღები და ხელსაყრელი არის. მხოლოდ აზერბეიჯანს და სომხეთს არ შეუძლია მიაწოდონ საქართველოს მთელი რიგი საქონლისა, რომელიც მათ არა აქვთ და უნდა შემოზიდონ უცხოეთიდან. ასეთ საქონლის გარეშე არის ისეთი საქონელი (ნავთი და ნავთის ნაწარმოები, მარილი, ტყავი ბრინჯი), რომელიც შეიძლება მოგვაწოდოს დასახელებულ რესპუბლიკებმა. ერთი წლის გამოცდილება საქართველოს საგარეო ვაჭრობისა სრულიად უდავოთ ხდის ერთ კიდევ საყურადღებო დებულებას, რომელიც პირდაპირ მიღებული უნდა იქნეს სახელმძღვანელოთ: საქართველოს ბევრი საერთო აქვს მეზობელ რესპუბლიკებთან; მეზობელ რესპუბლიკებთან ეკონომიურ კავშირს აქვს ძლიერ სალი ნიადაგი. ურთიერთ შორის კავშირის გაძლიერება, ურთიერთშორის საკუთარი ნაწარმოების გაცვლა გამოცვლა უნდა იქნეს მოგვარებული, განსაზღვრული და მიეცეს მას გარკვეული მიმართულება. საყურადღებო არის ზემომოყვანილ ცხრილში საქართველოს რუსეთთან ვაჭრობა 1919 წ. ვაჭრობა სწარმოებდა მხოლოდ რუსეთის მცირე ნაწილთან, რადგან რუსეთში სწარმოებდა სამოქალაქო ომი. მიუხედავათ ამისა რუსეთთან ვაჭრობა შედარებით დიდი რაოდენობით იხატება. რუსეთიდან შემოვიდა უმთავრესათ სურსათი და სანოვაგე. სურსათი და სანოვაგე, ანუ საარსებო საგნები, რომელიც იყო შემოტანილი სხვადასხვა სახელმწიფოებიდან 1919 წ. უდრის 2316,1 ათას ფუთს, რუსეთის უმცირესი ნაწილიდან შემოზიდული საარსებო საგნები უდრის 499,7 ათას ფუთს, ესე იგი 21,5 პროც. მთელი შემოზიდული რაოდენობის; რუსეთიდან შემოზიდული ნედლი და ნახევრათ დამუშავებული მასალა უდრის 13,0 პროც. მთელ ნედლ და ნახევრათ დამუშავებულ მასალასთან შედარებით, რომელიც საერთოდ შემოზიდული იყო საქართველოში. ერთი წლის მასალა საგარეო ვაჭრობის შესახებ ძლიერ მცირეა, მაგრამ საყურადღებოა, რამდენათ უმნიშვნელოა ვაჭრობა ევროპასთან 1919 წ. და რამდენათ შედარებით გაზრდილა საგარეო ვაჭრობა მეზობელ რესპუბლიკებთან და რუსეთთან. როგორი ხასიათიც არ უნდა მიიღოს ჩვენმა საგარეო ვაჭრობამ, ერთი რამ სრულიად უდავოა: საქართველოს სოფლის მეურნეობა ჯერ ჯერობით საზარალოა ჩვენთვის, საკმაო პური არ არის; ხორბლეულობის დეფიციტის დაფარვა უფრო იოლი და ადვილი არის რუსეთის, ვიდრე ევროპის საშუალებით.

ს. ავალიანი.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქციეს დიდძალი საშპალე მასალა.

დროა მოეღოს ბოლო ასეთ უმგვანო მუშაობას სანამ სავსებით არ შეჩერებულა რკინის გზის მოძრაობა და მთებიც არ გაუნადგურებიათ ტყუილ-უბრალოთ.

დროა სატყეო და რკინის გზის კომიტეტები გონზე მოვიდნენ, კითხვის გადაჭრას პრაქტიკულ-საქმიანათ შეეხონ. საქმე იმდენათ სერიოზულია, რომ შპალების დამზადება უნდა დააკისრონ ადგილობრივ ეკონომიურ განყოფილებებს და თვით რკინის გზის უბნებსაც. ერთმაც და მეორემაც იზრუნონ შპალების დამზადებაზე.

ამ შემთხვევაში დანაწილება შპალის დამზადების არაა საშიში.

გასულ წელში ორივე დაწესებულება მუშაობდა რაჭის საუცხოვო ტყეებში, სადაც მოიჯარადრეები ამ დაწესებულებებისა მტაცებლურათ სჭრიდენ ტყეს, მაგრამ არც ერთი შპალი მათ მიზეზით არ გამოტანილა, რაც საქმის ეხლანდელ მდგომარეობაში პირდაპირ ბოროტ-მოქმედებაა.

გზატკეცილები და გრუნტას (грунтовые) გზები, რომლებსაც აქვთ სტრატეგიული, ეკონომიური და საზოგადო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, არა ნაკლებ ცუდ მდგომარეობაში არიან, ვიდრე რკინის გზები.

გზების ძველმა დაყოფამ ადმინისტრატიულ სამეურნეო დამოკიდებულების გამო სრულიად დაკარგა თავისი მნიშვნელობა აზრი ნატურ ბეგარის შემოღების შემდეგ. ზრუნვა საგზაო მუშაობისათვის მუშახელის და გადასაზიდავ საშუალებათა მიწოდებაზე ხომ მთლათ დააწვა ადგილობრივ რევკომებს. აუცილებლობას შეადგენს, რომ ყველა გზებზე იმყოფებოდეს ერთი ხელი და ამ ხელებათ უნდა გახდნენ ორგანოები, ყველაზე უფრო ახლო მდგომნი საზოგადოებასთან, მჭიდროთ გადაჯაჭვულნი მათზე და ყველაზე უფრო კარგათ გარკვეულნი ადგილობრივ პირობებში, მათ სხვაობაში.

ასეთი ორგანოები არიან სამაზრო რევკომები და მათი ეკონომიური განყოფილებანი, სახალხო მეურნეობის საბჭოს ხელში უმაღლესი ტეხნიკური ზედამხედველობის, სწორი და მიზანშეწონილი განაწილების და რევიზიის დარჩენით.

ა. კობახიძე.

## მ. ი. სკობელევი რუსეთ-საფრანგეთის დამოკიდებულების შესახებ

როგორც ცნობილია, მ. ი. სკობელევი, დროებითი მთავრობის ყოფილი მინისტრი, არის დღეს პარიზში წარმომადგენელი რუსეთის სავაჭრო დელეგაციის ლონდონში. იმის შესახებ, რომ მას ეჭირა ეს პოსტი, საფრანგეთის პრესამ, რასაკვირველია, დიდი ხანია იცოდა, მაგრამ, მხოლოდ უკანასკნელ ხანებში, როდესაც საფრანგეთის პოლიტიკას დაეტყო ცვლილება რუსეთის საკითხში, დაიწყეს საფრანგეთის ბურჟუაზიულმა გაზეთებმა მ. ი. სკობელევთან რეპორტიორების გზავნა. აგერ წინაზე გაზეთ „ენფორმასიონმა“ მოათავსა დიდი ინტერვიუ სკობელევთან. მრეწველების და ფინანსისტების ამ ორგანოს მაგალითს წაჰბაძა ნახევრათ ოფიციოზურმა გაზეთმა „პტი პარიზიანმა“.

მ. ი. სკობელევმა განაცხადა, რომ მან შეისყიდა საფრანგეთში მნიშვნელოვანი რაოდენობის საქონელი. ამ ჟამათ სწარმოებს მოლაპარაკება ტრაქტორებისა და საბარგო ავტომობილების ყიდვის შესახებ. მან მიჰყიდა ფრანგულ ფირმებს ნავთი. მომავალში განზრახულია ტყის და ტყავეულების გაყიდვა. მაგრამ სკობელევმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საფრანგეთის მთავრობის ორგანოები აძნელებენ ვიზების მიღების საქმეს და რომ სკობელევის კანტორის არაოფიციალური ხასიათის გამო, რუსეთ-საფრანგეთის ვაჭრობა ფერხდება.

შეეხო რა კითხვას რუსეთ-გერმანიის დამოკიდებულების შესახებ, რაზედაც ხშირათ სწერენ საფრანგეთის პრესაში, სკობელევმა განაცხადა, რომ საფრანგეთის მხრით არა მეგობრული განწყობილების გამო, რუსეთი, ბუნებრივია, სცდილობს დაუკავშირდეს გერმანიას. უკმაყოფილება ამით ულოღიკობა არის ფრანგების მხრით. ქვევით სკობელევმა განაცხადა: „ადრე თუ გვიან თქვენ შეიგნებთ ჩვენთან შეთანხმების საჭიროებას. რაც შეგვეხება ჩვენ, უნდა გითხრათ, რომ ჩვენ შეგვიძლია ვიცადოთ წლებიც. ჩვენ უკვე გვაქვს დამოკიდებულება ყველა სახელმწიფოებთან. ჩვენი მდგომარეობა სულ უფრო გაუმჯობესდება, თქვენი კი თანდათან გართულდება“.

(„ნოვი მირ“).

# ქრონიკა

✦ **მუშათა ფაკულტეტის სტუდენტთა უზრუნველყოფა.** საქართველოს პ. კ ს. საკლუბო განყოფილების წინადადებით მისცა მუშათა ფაკულტეტის [illegible] შრომის [illegible] განყოფილების 30 დეკემბრის დადგენილება [illegible] სახელმწიფო მომარაგებაზე [illegible] 16 იანვრიდან [illegible] მუშათა ფაკულტეტის [illegible]

✦ **საბჭოთა სახლები.** [illegible]

✦ **ქალ ხაზში მუშაკებისა საქმეთათვის.** [illegible]

✦ **შრომის კანონმდებლობით კრებები.** [illegible] 136 [illegible] 135 [illegible] 70,000 მან. [illegible]

✦ **ცენტრალურ დაზღვევა კასების მოსახლეობის სიკვდილიანობა.** 1921 წ. მოკვდა 375 [illegible] ცენტრალურ დაზღვევა კასისა, მათ შორის 312 კაცი და 63 ქალი. საშუალოთ სიკვდილიანობის [illegible] 1921 წელს შედგენა 125 კაცი 10 ათას [illegible] კაცების სიკვდილიანობის (160—10 ათასზე) შესამჩნევათ აღემატება ქალების სიკვდილიანობას (51—10 ათასზე). სიკვდილის უმთავრესი მიზეზები იყო: ტუბერკულოზი—(40 კაცი და 12 ქალი სულ 52), ცხრ სახადი და პარატიფი (31 კაცი და 11 ქალი, სულ 42), მალარია (27 კაცი და 5 ქალი, სულ 32) დიზენტერია და ენტერიტი (22 კაცი და 5 ქალი, სულ 27) და გულის ავადმყოფობა (20 კაცი და 5 ქალი, სულ 25). ყველა მეტი სიკვდილი მოდის სიბერეზე (71) და [illegible] (52).

✦ **პროტექციონული ვაგონები.** ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამართველოში [illegible] ფება იმ პირების ხელში და პასუხისმგებლობაში, რომლებიც სარგებლობენ პროტექციონულ ვაგონით. კვიტანციები და დუბლიკატები თან ერთვის საგზაო დოკუმენტებს.

ყველა ხელშეკრულობები დადებული აქამდე პროტექციონულ ვაგონების სარგებლობის შესახებ, უქმდება ამა წლის პირველ მარტიდან.

წინადადება, ეძლევა ყველას, ვინც სარგებლობს ამ ვაგონებით, მოვიდნენ გზათა სამმართველოში ახალი ხელშეკრულობის დასადებათ და დამატებით ქირის შესატანად. ქირა პროტექციონულ ვაგონების სარგებლობისთვის დაწესებულია ოქროს მანეთით შემდეგი: დღე ღამეში „თბილ ვაგონისთვის“—ცდა ერთ ნახევარი მანეთი, სამღერძიან კლასსის მაგარი ვაგონისთვის—35 მ., ასეთივე რბილის—50 მ., სამოსამსახურო ანუ სალონ-ვაგონისთვის—105 მან.; ვაგონებისთვის, რომლებშიაც გამართულია ელექტრონი,—50 პროცენტით მეტი. ოთხ და ექვს ღერძიან ვაგონებისთვის ქირა პროპორციონალურათ იზრდება ღერძების რიცხვის მიხედვით.

თებერვლისთვის ოქროს მანეთის კურსი განსაზღვრულია—150,000 ქაღალდის მანეთით.

ვაგონებს იძლევა განსაკუთრებით გზების სამმართველო.

### განათლების კომისარიატის სახელმწიფო გამომცემლობა

სახელმწიფო გამომცემლობის მუშაობა დღიდან მისი არსებობისა უნდა გაიყოს ორ პერიოდათ: პირველი სახელმწიფო გამომცემლობა, როგორც საქართველო—რუსეთის დეპეშათა საგენტოს განყოფილება, მეორე სახელმწიფო გამომცემლობა, როგორც განათლების კომისარიატის განყოფილება. პირველი პერიოდი გრძელდებოდა 26 თებერვალიდან აგვისტომდე, მეორე აგვისტოდან დღემდე.

„გრუკავროსტამ“ თავის დროზე მიითვისა არსებითად განათლების კომისარიატის თითქმის ყველა ფუნქციები და ამ რიგათ სახელმწიფო გამომცემლობაც. სახელმწიფო გამომცემლობის ორგანიზაცია მაშინ გატარებულ იქნა უჯეგმოთ და მთელი მუშაობა ატარებდა შემთხვევით ხასიათს, რომელსაც ბევრი დეფექტები ქონდა.

სტრუქტურის მიხედვით მაშინდელი სახელმწიფო გამომცემლობა შესდგებოდა შემდეგ განყოფილებებისაგან: 1) საქართველოს ცენტრალური ბეჭდვა, (გრუცენტროპეჩატი), რომელშიდაც შედიოდა ცენტრალ. ექსპედიცია, წიგნების განყოფილება და ცნობების განყოფილება; 2) საგამომცემლო განყოფილება. და 3) ქაღალდის განყოფილება. ყველა ეს განყოფილებები მართვის მხრივ ემორჩილებოდენ „გრუკავროსტას“.

ყველაზე მეტი საპასუხისმგებლო და ძნელი მუშაობა დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა წილად ხვდა საგამომცემლო განყოფილებას. მსხვილ სტამბებიდან კავშირის დამყარების შემდეგ განყოფილება შეუდგა სხვა და სხვა შეკვეთების შესრულებას, რომლებიც შემოდიოდა მაშინ უმთავრესად ახალ დაარსებულ საბჭოთა დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან.

პირველ რიგში დაიწყო გამოსვლა კომპარტიის ც. კ. ორგანიზაციებმა „კომუნისტ“-მა და „პრავდა გრუზია“-მ და აგრეთვე „კავკასიის კომუნამ“ ოთხ ენაზე, შემდეგ გამოვიდა „კარმირ ასტღ“ „კარმირ აკლორ“ სომხური ენაზე, „კომუნისტი“ თათრულ ენაზე, „წითელი მხედარი“ ქართულ ენაზე „შრომის უწყება“ რუსულ ენაზე და სხვა.

შეუდგენ აგრეთვე მთელ რიგ პერიოდულ ჟურნალების გამოცემას: „კავკასიის ეკონომიური ცხოვრება“ „ც. კ. უწყებები“, „შინაგან საქმეთა კომისარიატის მოამბე“, „მთავრობის კანონების და განკარგულებების კრებული“.

საჩქარო წესით გაძნელებულ ტეხნიკურ პირობებში განყოფილებამ შეასრულა შეკვეთანი პირველ მაისის დღესასწაულისათვის.

„გრუკავროსტა“-ს ლიკვიდაციის შემდეგ, საგამომცემლო განყოფილება გადავიდა განათლების კომისარიატის გამგეობაში და აქედან იწყება მისი ნაყოფიერ მუშაობის მეორე ხანა: 1921 წ. აგვისტოში გამოვიდა „საქართველოს რევკომის დებულება სახელმწიფო გამომცემლობის შესახებ“. აქედან იწყება ცოტათ თუ ბევრათ სახელმწიფო გამომცემლობის ნორმალური მუშაობა. 8 სექტემბერს მოწვეულ იქნა ყველა სახალხო კომისარიატების და მსხვილ საბჭოთა დაწესებულებების წარმომადგენელთა თათბირი სახელმწიფო გამომცემლობის საკითხის შესახებ. თათბირმა მიიღო მთელი რიგი კონკრეტიულ წინადადებებისა, რომლებიც გადაეცა საქართველოს რევკომს გადასაწყვეტად. მოკლე დროში განყოფილებამ გამოსცა მრავალი წიგნი.

# საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

### ცენტრალური საზღვაო-სატრანსპორტო განყოფილება.

საგანგებო დამტვირთავ კომისიის სხდომაზე ცენტრ. საზღ. სატრან. განყოფილების უფროსმა ამხ. ფიცხელაურმა გააკეთა მოხსენება ტვირთ საზიდის და საავტომობილო ტრანსპორტის მდგომარეობის შესახებ.

თბილისში არის სულ 50 ფურგონი, 11 ეტლი (ფაეტონი) 129 ცხენი, 8 უღელი ხარი, 9 კამეჩი, 6 აქლემი და 4 ვირი. საავტომობილო მეურნეობა ავტომობილის ცენტრალურ სექციიდან გადავიდა 1 ოქტომბრიდან ცენტრ. საზღვ. სატრან. განყოფილების ხელში.

თბილისში არის 34 საბარგო ავტომობილი და 78 სამგზავრო, უკანასკნელები ჯერ იმყოფებიან უწყებათა და კერძო პირების განკარგულებაში. 2 თვის განმავლობაში ავტომობილების რიცხვი გადიდდება 100 პროცენტით, შეკეთებიდან გამოშვების გზით. პროვინციაში არის 29 საბარგო და 7 მსუბუქი ავტომობილი, 11 ცხენი, 15 ეტლი და ბევრი ფურგონი. ექსპლოატაციას ძლიერ ხელს უშლის რეზინების და შინების უქონლობა.

ცენტ. საზღ. სატრან. განყოფილებამ ოქტომბერში გადატვირთა და გაზიდა 107 ვაგონი, ნოემბერში 42, დეკემბერში 329 ვაგონი ტვირთ. ამას გარდა ცენტ. საზღ. სატრან. განყოფილებას დავალებული აქვს შავი ქვის გადაზიდვა, რომელიც დაუბრკოლებლივ სწარმოებს.

### ტრანსპორტი.

**საგანგებო განმტვირთავ კომისიის მუშაობა.**

საგანგებო განმტვირთავ კომისიის სხდომაზე გაკეთებულ იქნა ს. გ. კ. 1921 წ. მუშაობის მოკლე მიმოხილვა. ციფრებიდან სჩანს, მუშაობა ძლიერ ინტენსიურად სწარმოებდა და უმაღლეს წერტილს მიაღწია დეკემბერში. წინასწარ გამოანგარიშებით ს. გ. კ. არსებობის ხანაში მის მიერ განტვირთული იგი 5.500 ვაგონი. პირველად განზრახული იყო, რომ ამა წლის 17 მარტიდგან ს. გ. კ. უნდა შეეწყვიტა თავის არსებობა, მაგრამ მიიღეს რა მხედველობაში ტვირთის დიდი მოზღვავება, როგორც ჩრდილოეთიდან ისე საქართველოს ნავთ სადგურებში და მთელი რიგი დეფექტებისა, რომლებიც არსებობდენ ტრანსპორტის მეში, ს. გ. კ. მუშაობა საჭიროა გაგრძელებულ იქნას.

**საექსპლოატაციო სამსახურის მუშაობა.**

იმავე სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება ინჟენერ ვეიზერისა საექსპლოტაციო სამსახურის მუშაობის შესახებ გასული წლის უკანასკნელ მეოთხედში. მის მიერ ქვემოთ მოყვანილი ციფრები გვიჩვენებენ, რომ მუშაობა პროგრესიულად იზრდება და გზაც წარჩინებით უსწორდება მას.

გზის პარკი დეკემბერში (გარდა ცისტერნებისა) უდრიდა—10,872, ნოემბერში კი 10,553 ვაგონებს. ცისტერნები — 1.501, ნოემბერში კი 10.553, სამუშაო პარკი (უცისტერნოდ) — 5936, ცისტერნები—1.002, დაზიმნებული ვაგონები 1.967, მიცემულია საცხოვრებლად და საწყობად —1029. ეს ციფრი აიხსნება სამხედრო ნაწილების დიდი რაოდენობით, რომლებიც სიცივისა და შენობის უქონლობის გამო ვერ გამოვასახლეთ ვაგონებიდან. მუშა მატარებელზე არის სულ—1012 ვაგონი, ნოემბერში კი იყო 823, ეს გადიდება აიხსნება განსაკუთრებულ პარკის გამოყოფით ალიატ ჯულფის და რიონის სანაპიროების გასამაგრებლად დანიშნულ სპეციალურ მატერებლების დანიშვნით. საბარგო ვაგონების საერთო პარკიდან მგზავრების გადასაყვანად დანიშნული იყო 379 დახურული ვაგონი, შესაფერ სამგზავრო ვაგონების უქონლობის გამო. მარქაფა ვაგონთა რიცხვი უდრიდა 568. საშუალო დატვირთვამ დეკემბერში მიაღწია 219 ვაგ., რაც შეადგენს განზრახულ მიზნის 140 პროცენტს. ვაგონების მიერ გავლილ ვერსთა რიცხვი (6995089) მთელ წელში სარეკორდოდ უნდა ჩაითვალოს. მუშა ვაგონების ბრუნვა უდრის 16, ნოემბერში კი იყო 18. დღე-ღამეში გავლა ვაგონისა საშუალოდ უდრიდა 33 ვერსტზე ნოემბერში კი 32 ვერ. სამგზავრო მატარებლის საშუალო კომერციულსა სიჩქარემ იკლო 15 ვერსამდე, წინაალმდეგ 16, რომელიც იყო ნოემბერში. მატარებელთა საშუალო შემადგენლობა სიგრძით და სიმძიმით გაიზარდა. ორთქმავალები იყო დეკემბერში 709 (ნოემბერში კი 720), ორთქმავალების შემცირება გამოიწვია უვარგისთა ინვენტარიდან გამორიცხვამ.

# წითელი დუშეთი

არ მოიპოვება საქართველოში არც ერთი კუთხე (გარდა სამხრეთ ოსეთისა), რომელიც ისე განაწამები, განადგურებული და ბარბაროსულათ დასჯილი ყოფილიყოს მენშევიკების სამი წლის ავაზაკური თარეშის დროს, როგორიც არის დუშეთის მაზრის ღარიბი გლეხობა. აგრეთვე შეიძლება სრულიათ თამამათ და კატეგორიულათ ითქვას, რომ საქართველოს მეორე არ ჰყავს მსგავსი რევოლიუციონური ხალხი, როგორც დუშეთს. დუშეთის გლეხობა ჭეშმარიტათ წითელი გლეხობაა. საოცარი ისაა, რომ თუმცა კულტურულათ ეს გმირი ხალხი ერთობ ჩამორჩენილია, მის ამ მხრით ამაღლებაზე სრულიათ არ უფიქრია მენშევიკურ მთავრობას ისე, როგორც ამაზე თავი არ უტეხია მეფის თვითმპყრობელობას, მარა რევოლიუციონური სულისკვეთებით, მისწრაფებით და ტემპერამენტით იგი შეუდარებელია. რევოლიუციური გმირობა და თავგანწირვა დუშეთის გლეხობის განსაკუთრებით „დემოკრატიული“ მთავრობის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გამოიხატა. დუშეთის მშრომელი ხალხის თვალში მენშევიკებმა თავის ვერაგულ, დაუნდობელ და განუსაზღვრელათ მყვლეფელ-ამაწიოკებელ პოლიტიკით სრულიათ ბუნებრივათ და სამართლიანათ დაიმსახურეს ზიზღი და სიძულვილი. დუშეთის გლეხობა იბრძოდა სამი რამისათვის: მენშევიკების მიერ მოღალატურათ გაწყვეტილ კავშირის აღდგენისათვის საბჭოთა რუსეთის მუშებთან და გლეხებთან; თავად აზნაურობისაგან მიწის უფასოთ ჩამორთმევისა და ღარიბ მიწის მუშათა შორის თანაბრათ განაწილებისათვის და საბჭოთა ანუ ბოლშევიკური წყობილების დასამყარებლათ. ამ პროგრამის განსახორციელებლად დუშეთის ხალხი არ ზოგავდა არაფერს. მან კარგათ იცოდა, რომ მენშევიკური ბატონობის ტახტის დასამხობათ არა კმარა ძალაუფლების ხელში აღება მარტო დუშეთის მაზრაში, არამედ საჭიროა ამ ბატონობის ცენტრის დაპყრობა. ამიტომაც იყო, რომ 1918 წ. ივნისში აჯანყებულმა დუშეთმა ერთი დაკვრით გასწმინდა კუთხე თეთრგვარდიელთა ბანდებისაგან და განიძრახა ტფილისის აღება. მენშევიკებმა იგრძნეს საშინელი საფრთხე და მთელი სამხედრო ძალა, რაც კი გააჩნდათ, ფეხზე დააყენეს აჯანყებული მაზრის დასამორჩილებლათ. გაჩაღდა უსწორო სამოქალაქო ომი, რომლის დროსაც აჯანყებულებს არც ერთი მტკაველი მიწა უბრძოლველათ არ დაუნებებიათ თეთრი გვარდიისათვის.

გამარჯვებულმა მენშევიკებმა ავაზაკურათ შური იძიეს აჯანყებულ გლეხებზე. ომში დაღუპულთ მიემატა მრავალი მოღალატურათ დახვრეტილი რევოლიუციონერი—გლეხი.

დუშეთის გლეხობა კვლავ აჯანყდა 1919 წ. იმავე მტრის წინააღმდეგ, მარა აქაც დამარცხდა. ამ ორი აჯანყების დროს წითელმა დუშეთმა დაკარგა მრავალი ათეული თავის საუკეთესო შვილებისა. იგი მრავალჯერ ააწიოკა და გააპარტახა მენშევიკურმა გვარდიამ და გადააქცია სამხედრო ბანაკათ. მარა რაც მეტი იყო მენშევიკების რეპრესიები, მით უფრო და უფრო ღვივდებოდა ამ ხალხის გულში შეურიგებლობის და შურისძიების ცეცხლი. იგი მუდამ ფიქრობდა და ოცნებობდა, მას ღრმად სწამდა ბოლშევიკების გამარჯვება და ნამდვილი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს დამყარება. და ეს ნატვრა მალე სინამდვილეთ იქცა: 25 თებერვალმა სამუდამოთ დაასამარა მენშევიზმი და დაამყარა საბჭოთა რეჟიმი საქართველოში.

ამ დღეებში დუშეთის წითელმა გლეხობამ დიდი ზეიმით გახსნა თავის საბჭოების მეორე ყრილობა. 1918 წ. ივნისის 26 ამავე გლეხობამ გახსნა **რევოლიუციონური პირველი** ყრილობა, რომელიც იყო პირველი მერცხალი ძლევამოსილ გლეხობისა, რომელმაც იგემა დროებით გამარჯვება სამოქალაქო ომში მენშევიკების წინააღმდეგ მხოლოთ ერთი მაზრის ფარგლებში. ეს იყო ამავე დროს პირველი საბჭოთა ყრილობა მთელ საქართველოში, რომელიც გმინავდა მენშევიკურ ბაშიბუზუკების უღლის ქვეშ.

პირველმა რევოლიუციონურმა საბჭომ იარსება მცირე ხნით, მარა მისი ანდერძის თანახმათ დუშეთის გლეხობამ ბოლომდე პირნათლათ და ღირსეულათ აწარმოვა გმირული ბრძოლა მენშევიკების წინააღმდეგ. მეორე ყრილობამ უკამათოდ და ერთხმათ აღიარა თავის თავი პირველი ყრილობის გაგრძელებათ, რომელიც შეუპოვრათ იბრძოლებს ორივე ფრონტზე საბჭოთა რევოლიუციის დასაცავათ და გასამტკიცებლათ. მეორე ყრილობის მუშაობა იყო გამსჭვალული რევოლიუციონური შეგნებით, აღფრთოვანებით, სოლიდარობით და ღრმა რწმენით საბოლოო გამარჯვებაში.

ყრილობამ შექმნა აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც იქნება ფხიზელი დარაჯი, ბელადი და ავტორიტეტიული ხელმძღვანელი რევოლიუციონური გლეხობისა მთელ მაზრაში. ჩვენ შეურყევლათ გვწამს და ვიმედოვნებთ, რომ ახალი ხელისუფლების უზენაესი ორგანო, თვით რევოლიუციური მასსის მიერ არჩეული, ღირსეულათ შეასრულებს თავის დიდ და პასუხსაგებ მოვალეობას და იქნება სამაგალითო მთელი საბჭოთა რესპუბლიკის. ჩვენ გვწამს, რომ აღმასკომი, დაყრდნობილი ისეთ რევოლიუციურ ზურგზე, როგორიცაა დუშეთის ღარიბი გლეხობა, შეუჩერებლათ და შეურყევლათ წავა წინ მსოფლიო კომუნიზმის გამარჯვებამდე. წითელი დუშეთი იყო და მუდამ დარჩება ბუდეთ ბოლშევიზმ-კომუნიზმისა.

ხტუმარი.

სარედაქციო კოლეგია.

# საქართველოს საბჭოთა ცენტრალური საარჩევნო კომისია

ამით აცხადებს იმ ინსტრუქტორების საყურადღებოდ, რომელნიც დაბრუნდნენ თბილისში, ხოლო ჯერაც არ გამოცხადებულან ცენტრალურ კომისიაში, რომ ისინი ვალდებულნი არიან დაუყონებლივ გამოეცხადონ ცენ. საარჩ. კომისიას, საქართველოს რევკომის სასახლეში ოთახი № 23 ტელეფონი № 11—69


# მიიღება განცხადებები

**გაზეთებში „კომუნისტი“, „პრავდა გრუზიი“, „კარმირ ასტღ“ და „ნოვაია მისლ“.**

ფასი 1 სტრიქონ პეტიტში 15,000 მან. თეატრების, კონცერტების, ლექციების და შრომის წინადადებების მიიღება განსაკუთრებული ნიხრის მიხედვით.

განცხადებათა მიღება წარმოებს სახელმწიფო გამომცემლობაში („გოსიზდატ“-ში), ლორის-მელიქოვის ქ. № 5, ტელეფონი 6—43. განათლების კომისარიატის შენობა.

**გ ა გ ზ ა ვ ნ ა**

გაზეთები: „კომუნისტი“, „პრავდა გრუზია“, „კარმირ ასტღ“ პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა დაწესებულებებსა და კერძო პირებს, რომლებიც არ გამოგზავნიან ხელის მოწერის საფასურს იანვრისა და თებერვლის თვეებისათვის 20 თებერვლამდე **უსათუოდ მოესპობათ.**

მისამართი და ხელის მოწერის ვადა უნდა აცნობონ არა ცალკე წერილით, არამედ აუცილებლად ფულის გადასატან საფოსტო ბარათზე.

**1922 წლისათვის** **1922 წლისათვის**

# მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ „პრავდა გრუზია“-ზე

1922 წლისათვის

**ხელის მოწერის პირობები:**

ერთი თვით ტფილისში და პროვინციაში მიწოდებით 120.000 მან.
გაუგზავნელად 100.000 მან

**ერთის ნომრის ფასი ტფილისში 5000 მან.**

პარტიულ, მუშათა, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციებისა, ქოხ სამკითხველოთა და წითელ არმიელთა კლუბებისათვის 1 თვით გაგზავნით 60.000 მან., გაუგზავნელად—50.000 მან.

ხელის მოწერისა და განცხადებათა მიღება სწარმოებს სახელმწიფო გამომცემლობაში („გოსიზდატ“-ში, განათლების კომისარიატი, ლორის-მელიქოვის ქ. № 5) დილის 9 საათიდგან დღის 3 საათამდი.

ტელეფონი № 6—43.


ტირაჟი 10,000

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა. კრუზენშტეინის ქ., № 4